88 წელი თქვენთან ერთად!

88 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი. გამოცემის 88-ე წელი.



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №3-4 {7033} 16 თებერვალი 2020 წელი • www. Terjola. gov. ge

კორონავირუსი და ჩვენ...

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში სწავლა ამჯერად საკლასო ოთახებში განახლდა

ისე, როგორც სრულიად საქართველოში, გასულ წელს, კორონავირუსული პანდემიის გამო, სერიოზული ზიანი მიიღო ჩვენი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის პროცესმა. კოვიდ 19-ის გამო, ჯერ კიდევ 2020 წლის მარტის თვიდან, მუნიციპალიტეტის სკოლების საკლასო ოთახებში შეწყვეტილი სასწავლო პროცესი, ფაქტიურად თითქმის ერთწლიან მონაკვეთში მხოლოდ დისტანციურად—ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობდა.

ამ პერიოდში, ჩვენი გაზეთით არაერთი და ორი პუბლიკაცია გამოქვეყნდა კორონავირუსული პანდემიის პირობებში დისტანციური სწავლების ავ-კარგზე. ნიშანდობლივია, რომ მოსწავლეები ასეთი სწავლების ხარისხზე უფრო მეტად თავიანთ ჩაკეტილობას უჩიოდნენ და საკლასო ოთახებში სწავლის გაგრძელებას ნატრობდნენ, რასაც ღიად აღნიშნავდნენ კიდეც.

სწავლა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების საკლასო ოთახებში მიმდინარე წლის 18 იანვრიდან განახლდა...

ბუნებრივია გაჩნდა კითხვაც, თუ როგორ შეხვდნენ ამ ეტაპს საჯარო სკოლები, რა გააკეთეს სასკოლო ადმინისტრაციებმა კოვიდთან თანაცხოვრების პირობებში თავიანთი ქვემდებარე დაწესებულებებში სწავლების უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის და მრავალი სხვა.

აღნიშნულზე დაწვრილებით იხილეთ „თერჯოლის“ მე-9 გვერდზე.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

მიმდინარე წლის თებერვლის პირველ დეკადაში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა გოგიაშვილმა, მოადგილე მანიუჩარ რობაქიძესთან ერთად, რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა და თათბირი გამართა. გთავაზობთ ამ ინფორმაციების ერთ ნაწილს, რომელიც მერიის შესაბამისმა სამსახურმა გაავრცელა.

პრიორიტეტი—ჯანდაცვა, ახალგაზრდობა...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგიაშვილი მოადგილესთან ერთად ა(ა)იპის ხელმძღვანელებს შეხვდა.

შეხვედრაზე ა(ა)იპების მიერ დაგეგმილი ღონისძიებები და მათი განხორციელების გზები განიხილეს.

ა(ა)იპ თერჯოლის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრის განცხადებით ,მაქსიმალური მონიტორინგი მიმდინარეობს გადამდებ და არაგადამდებ დაავადებებთან დაკავშირებით. აქტიური მუშაობა გრძელდება კოვიდ-19-ის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. გარდა ამისა, სამომავლოდ დაგეგმილია ც ჰეპატიტის, აივინფექცია/შიდსის ინტეგრირებული სკრინინგის და ტუბერკულოზის მართვის მუნიციპალური პროგრამის გაგრძელება, რომელიც გასულ წლებში მუნიციპალიტეტის აქტიური მხარდაჭერით ხდებოდა.

☞2

დავითობა

8 თებერვალი

სწორუპოვარი ქართველი მეფის—წმინდანად შერაცხული, ერისა და ბერისაგან აღმაშენებლად და მესიის მახვილად სახელდებული დავით IV აღმაშენებლის ხსენების ეს დღე, კორონავირუსული პანდემიის გამო მართალია, შედარებით შემცირებული ფორმატით, მაგრამ გულწრფელი სიამაყით აღნიშნა სრულიად საქართველომ.

დიდი მეფის პატივგების ეპიდცენტრი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მის მიერვე აგებული გელათის სამონასტრო კომპლექსში იყო—ადგილი, სადაც განისვენებს „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა, სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა“.

მეფე, რომელმაც დაგვიტოვა ქვეყანა „ნიკოფსითგან... დარუბანდისა საზღურადმდე და ოვსეთიდგან სოერად და არეგაწადმდე“.

სამწუხაროდ, ჩვენ, დღევანდელი ქართველები, დიდ ვალში ვართ მის მიერ შექმნილ ისტორიასთან. ვალში ვართ ჩვენი ქვეყნის ბევრად შემცირებული ტერიტორიების გამო, ვალში ვართ მის მიერ აშენებულ მეორე ათონად წოდებულ გელათთან, ვალში ვართ დიდგორის ისტორიულ ბრძოლაში გამარჯვებულ ქართველთა სულებთან!

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის სოციალური პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გასული წლის მიწურულს, 29 დეკემბერს, დაამტკიცა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული სოციალური პროგრამები 2021 წლისათვის, რომელთა ჯამური ბიუჯეტი 980000 ათასი ლარია.

პროგრამებს გთავაზობთ ჩვენი გაზეთის მე-4, 5, 6, 7, 8 გვერდებზე.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

1☞ პრიორიტეტი—ჯანდაცვა, ახალგაზრდობა...

შეხვედრაზე მერის ინიციატივით, ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრს მერიის თანამშრომლებთან კოორდინირებული მუშაობით დაევალა ახალგაზრდების ჩართულობა სხვადასხვა აქტივობებში და პერიოდულად შეხვედრების ორგანიზება, რომლის დროსაც მოისმენენ მათ საჭიროებებსა და რეკომენდაციებს, რაც გათვალისწინებული იქნება შემდგომ სამოქმედო გეგმაში. პროგრამა ხელს შეუწყობს ახალგაზრდების გააქტიურებას.

„ახალგაზრდების ჩართულობა მუნიციპალიტეტის განვითარების საქმეში მეტად მნიშვნელოვანია. მომავალი თაობის განვითარებისათვის აუცილებელია შესაბამისი გარემოს შექმნა, სადაც ყველას ექნება საშუალება გამოავლინოს არსებული უნარები და მოახდინოს საკუთარი თავის რეალიზება. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ცოდნა იმისა, თუ რა სჭირდება ახალგაზრდებს, რომ გამოიყენონ საკუთარი შესაძლებლობები და გახდნენ პოზიტიური ტრანსფორმაციული ძალა.

მე მზად ვარ მხარი დავუჭირო ახალგაზრდული პოტენციალის მიზნობრივ განვითარებას, მოვისმინო მათი ინტერესები და ინიციატივები“—განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.

როგორც მუნიციპალიტეტის მერიაში აღნიშნავენ, მსგავსი შეხვედრები მერიის სამსახურების და ა(ა)იპების ერთობლივი მუშაობის ეფექტურობის გაზრდას ემსახურება.

„ისწავლე დასაქმებისთვის“

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი, „ისწავლე დასაქმებისთვის“ განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრის (EDEC) ახალი პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს:

კარიერული ორიენტაციისა და დასაქმების სერვისების განვითარებასა და ხელმისაწვდომობის ზრდას;

კერძო–საჯარო პარტნიორობის გაზრდას, საზღვაო და ტურიზმის სექტორებში შრომის ბაზრის საჭიროებების შეფასებას, მოთხოვნილებაზე ორიენტირებულ განათლებას, სამუშაოზე მიმაგრებული სწავლებასა და სტაჟირების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებას.



პროექტის ფარგლებში სამუშაოს მაძიებლები;

გაივლიან პროფესიული მომზადების ან გადამზადების კურსს;

ჩაერთვებიან ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამაში;

გაივლიან უფასო ტრენინგ CV-ების ტექნიკების შესახებ;

შეძლებენ მოიძიონ მათთვის საინტერესო სამსახური და დასაქმდნენ კარიერის დაგეგმვის კონსულტანტის დახმარებით.

კურსის გავლის შემდეგ მოხდება სერთიფიცირება და ვალიდაცია, რომელსაც უზრუნველყოფს სპეციალური კომისია, დარგის ექსპერტებთან და პოტენციურ დამსაქმებელთან ერთად.

დაინტერესების შემთხვევაში, დაუკავშირდით დასაქმების კონსულტანტებს;

თეა შელია— +995 431 25 13 30 ; 551 18 18 70

ნათია ჩუბინიძე—+995 431 25 13 30 ; 595 67 67 60

ამ დღეებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი მოადგილე მანუჩარ რობაქიძესთან ერთად ამ ცენტრის (EDEC) წარმომადგენლებს შეხვდა, სადაც ორივე მხარე შეთანხმდა, რომ თერჯოლის მერია ხელს შეუწყობს პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტში დაგეგმილი აქტივობების განხორციელებას.

სტარტს იღებს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2021“...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა გოგიაშვილმა, მოადგილე მანუჩარ რობაქიძესთან ერთად, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების თათბირი გამართა.

შეხვედრაზე, მერის წარმომადგენლებმა, მერს სოფელში არსებული მნიშვნელოვანი საკითხები გააცნეს. ასევე, იმსჯელეს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ და აღნიშნეს, რომ მოსახლეობა მზად



არის აქტიურად ჩაერთოს პრიორიტეტების განსაზღვრაში.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 18 თებერვალიდან მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში კრებები ეტაპობრივად გაიმართება, სადაც მოსახლეობა მათთვის საჭირო ინფრასტრუქტურულ პროექტებს დაასახელებს.

„ეს არის კარგი შესაძლებლობა იმისთვის, რომ მოქალაქეები აქტიურად ჩაერთონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ამით სასარგებლო შედეგები მოუტანონ დასახლებას, თემსა და სოფელს. პროგრამის ფარგლებში ჩვენ არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას შევძლებთ. მოსახლეობა თავად აირჩევს მათთვის პრიორიტეტულ საკითხებს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქის აზრი. დარწმუნებული ვარ, სწორი კომუნიკაციის პირობებში, ყველა სოფლისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება იქნება მიღებული“—განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.

შეხვედრები სოფლებში ღია სივრცეში ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების სრული დაცვით განხორციელდება.

☞3

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება ბ 28. 28210284

28. 01. 2021

2004 წელს დაბადებულ ჭაბუკთა გასაწვევ უბანზე მიწერის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით კომისიის შექმნისა და სამუშაო წესების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის 61 მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13-14 მუხლებისა და 2015 წლის 2 ივნისით დამტკიცებული „მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის შესახებ“ დებულების მე-2 თავის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1. 2004 წელს დაბადებულ ჭაბუკთა გასაწვევ უბანზე მიწერის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას სამხედრო აღრიცხვისა და მიწერის კომისია შემდეგი შემადგენლობით.

ა) ლაშა გოგიაშვილი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი. კომისიის თავმჯდომარე.

ბ) პაატა გოგიაშვილი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

გ) ვახტანგ კაკოიშვილი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის მდივანი.

დ) ბუხუტი ნიკურაძე - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თერჯოლის რაიონული სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი.

ე) ქეთევან შეყრილაძე - თერჯოლის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის დირექტორი, კომისიის წევრი.

ვ) მარინა მაკარიძე - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი.

მუხლი 2. 2004 წელს დაბადებული ჭაბუკთა სამხედრო აღრიცხვა ჩატარდეს 2021 წლის 5 მარტიდან 2021 წლის 30 აპრილამდე.

მუხლი 3. პირველად სამხედრო აღრიცხვას ექვემდებარება ყველა მოქალაქე, რომლებიც დაბადებულნი არიან 2004 წელს, ცხოვრობენ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად ან დროებით, აგრეთვე უფროსი ასაკის მოქალაქენი, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო არ იყვნენ აყვანილი სამხედრო აღრიცხვაზე.

მუხლი 4. სამხედრო აღრიცხვის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრიდან დაშორებული სოფლები დაყოფილი იქნეს სამოქმედო ზონებად.

ბ) სამხედრო აღრიცხვა ჩატარდეს თემებისა და სოფლების მიხედვით, გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

მუხლი 5.

1. ეთხოვოს თერჯოლის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის დირექტორს სათანადო მუშაობა ჩაატაროს სკოლების დირექტორებთან მიწერას დაქვეითებული კატეგორიის ახალგაზრდების მისაწერ უბანზე გამოცხადებისა და პირადი საქმეების მოწესრიგებისათვის.

2. დაევალოს მერიის ტერიტორიული ორგანოების წარმომადგენლებს, სათანადო დახმარება აღმოუჩინონ კომისიას მიწერის ღონისძიების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით.

3. მუნიციპალიტეტის მერიამ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს მიმდინარე წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან პირველადი სამხედრო აღრიცხვის დაფინანსება.

4. ორგანიზაციებისა და სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელებმა, შესაბამის უწყებათა საფუძველზე უზრუნველყონ სამუშაოდან, სასწავლო დაწესებულებებიდან იმ ჭაბუკთა დროებით გამოთავისუფლება, რომლებიც ექვემდებარებიან პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას.

5. მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ხელმძღვანელმა სისტემურად მომახსენოს პირველადი სამხედრო აღრიცხვის მიმდინარეობის შესახებ.

6. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე ვივალებ პირადად.

მუხლი 6. ბრძანება ჩაბარდეს კომისიას, მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურს, მუნიციპალიტეტის მერიის ტერიტორიულ ორგანოებს.

მუხლი 7. ბრძანება გამოქვეყნდეს რაიონულ გაზეთში: „თერჯოლა“.

მუხლი 8. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ლაშა გოგიაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარის, ნინო ჯანელიძის ხელმძღვანელობით მორიგი სხდომა გაიმართა.

დეპუტატებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი ხუთი საკითხის შესახებ იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს საკითხს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

სხდომაზე ასევე მხარდაჭერილია: მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საშეშე მერქნის უსასყიდლოდ გადაცემის 2021-2022 წლების პროგრამა და საკითხი ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქ.117-ში მდებარე მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული არასაცხოვრებელი ფართის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-სათვის გადაცემის შესახებ.

საკრებულოს წევრებმა ასევე მხარი დაუჭირეს საკითხს, რომელიც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების 2021 წლის საპრივატიზაციო ნუსხისა და საპრივატიზებო ობიექტების გეგმის დამტკიცებას შეეხებოდა (საპრივატიზაციო ობიექტების ჩამონათვალი იხილეთ აქვე).

დადებითად შეფასდა მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის 2020 წლის ანგარიში (ცნობისათვის—აღნიშნულზე ინფორმაცია დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის 2020 წლის 15 დეკემბრის №23-24 -ში).

აღნიშნულ საკითხებზე სხდომამდე, ფრაქციის, ბიუროსა და პროფილური კომისიების სხდომებზე იმსჯელეს.

სხდომას მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე მანუჩარ რობაქიძე შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდა.

აუქციონზე განსაკარგი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება

№	უძრავი ქონების მისამართი	აუქციონზე გასატანი ქონების ს/კ	უძრავი ქონების დასახელება	უძრავი ქონების ფართობი	საწყისი საპრივატიზებ ო საფასური
1	ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქუჩა, სტადიონის მიმდებარედ	33.09.41.312	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	1817	50 200,0
2	ქ. თერჯოლა, რუსთაველის N129	33.09.34.477	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე მდგომი შენობა-ნაგებობა (ავარიული)	801	29 300,0
3	ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქუჩა (რესტორან ,,მამაპაპურთან")	33.09.42.649	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	79	5 500,0
4	სოფელი ჭოგნარი	33.02.34.338	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე მდგომი შენობა-ნაგებობა (ნახევრად დანგრეული)	751	12500
5	სოფელი თუზი	33.19.34.404	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	124	3100

შენიშვნა: აუქციონი აღნიშნულ ქონებაზე უკვე გამოცხადებულია, დასრულდება 23 თებერვალს. დაწვრილებით იხილეთ WWW.eAuction.ge

სტარტს იღებს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2021“...

2☞

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით პროექტების შერჩევა ეფუძნება მოსახლეობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პრინციპს, რის გამოც დასახლებებში გაიმართება საერთო კრებები, ან კონსულტაციები მოსახლეობასთან, სადაც მოქალაქეები თავად მიიღებენ გადაწყვეტილებას განსახორციელებელი პროექტების შერჩევის თაობაზე.

პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები განსაზღვრულია და მათ შორისაა: სასმელი წყლის სისტემები (ჭაბურღილები, წყალსადენები, ჭა და ა.შ. გაწმენდებით); წყაროების მოპირკეთება; სარწყავი სისტემები; სანიაღვრე არხები; ნაპირსამაგრი სამუშაოები; გზები; ხიდები, ცხაურები, ხიდ-ბოგირები, გადასასვლელები; გარე განათება; სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა; სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი; ამბულატორიის შენობები; კულტურის ობიექტები; სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი; სკვერები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით;

წისქვილების რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი; თავშეყრის ადგილები, მოსაცდელები.

შეხვედრები გაიმართება ღია სივრცეში ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების სრული დაცვით.

თავშეყრის ადგილის შესახებ წინასწარ ეცნობება მოსახლეობას მერის წარმომადგენლების მიერ შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

შეხვედრები ჩატარდება შემდეგი განრიგით:

18 თებერვალი - ძევრის ადმინისტრაციული ერთეული - 12:00 საათი;

ჩხარის ადმინისტრაციული ერთეული - 14:00 საათი;

გოგნის ადმინისტრაციული ერთეული- 16:00 საათი;

19 თებერვალი - თუზის ადმინისტრაციული ერთეული - 11:00-13:00 საათი;

საზანოს ადმინისტრაციული ერთეული- 15:00-17:00 საათი;

22 თებერვალი - ალისუბნის ადმინისტრაციული ერთეული-11:00-13:00 საათი;

რუფოთის ადმინისტრაციული ერთეული-15:00 საათი; ღვანკითის ადმინისტრაციული ერთეული-17:00 საათი;

23 თებერვალი - ბარდუბნის ადმინისტრაციული ერთეული- 11:00 საათი;

ეწრის ადმინისტრაციული ერთეული-13:00 საათი;

სიქთარვის ადმინისტრაციული ერთეული-15:00 საათი;

ახალთერჯოლის ადმინისტრაციული ერთეული-17:00 საათი;

24 თებერვალი - კვახჭირის ადმინისტრაციული ერთეული-11:00 საათი;

გოდოგნის ადმინისტრაციული ერთეული-13:00 საათი; ჭოგნარის ადმინისტრაციული ერთეული-15:00 საათი;

25 თებერვალი - ნახშირღელის ადმინისტრაციული ერთეული-11:00 საათი;

ქვედა სიმონეთის ადმინისტრაციული ერთეული-13:00 საათი;

ზედა სიმონეთის ადმინისტრაციული ერთეული-15:00 საათი.

პრიორიტეტების დაგეგმვის მიზნით მოსახლეობასთან შეხვედრები 18 თებერვლიდან 25 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება და მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს მოიცავს. კრებაზე/კონსულტაციაზე მისვლისას მოქალაქეებმა თან უნდა იქონიონ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი.

მოვუწოდებთ მოსახლეობას, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დაფინანსებისათვის ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევის საქმეში.

შიშიც, იმედიც და ხელმისაწვდომობაც...

დიდი ხნის ისტორია აქვს თერჯოლის სასწრაფო სამედიცინო სამსახურს. უფროსი თაობებისათვის იგი 03-ია, ახლა 112—საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის მართვის და გადაუდებელი დახმარების ცენტრი. როგორადაც არ უნდა ერქვას, ეს სამსახური მაინც „სასწრაფოა“ და მისი მანქანის გამოჩენა ქუჩებში, მისი განსხვავებული ხმა შიშსაც იწვევს და იმედსაც. ათეულობით წლების განმავლობაში, სამსახურის თანამშრომლები ერთად იბრძოდნენ ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად, ბევრჯერ განუცდიათ სიკვდილზე გამარჯვების სიხარული პირველადი დახმარების აღმოჩენით, თუ პაციენტების საავადმყოფოში დროული გადაყვანით, უმუშავნიათ დაბალ ხელფასებზე, ღამეები უთენებიათ კეთილმოუწყობელ სასამსახურო შენობებში, მაგრამ საქმისათვის არასოდეს უღალატნიათ. სასწრაფო სამედიცინო სამსახური ყოველთვის იყო იმედი...

სასწრაფოს ახლანდელი თაობა, ერთი წლის განმავლობაში, ერთად იბრძოდა სულ სხვანაირ, განსხვავებულ ვითარებაში. კორონავირუსის პანდემიის გამო მნიშვნელოვნად იმატა გამოძახებებმა, საფრთხის ქვეშ იდგა მათი ჯანმრთელობა, დაავადების საფრთხე მუდმივად ჰქონდათ და ასეც მოხდა, თითქმის ყველა თანამშრომელი დაავადდა, შიშმა შეიპყრო მოსახლეობა, რადგან ხმა გავრცელდა—შეიძლება ჩვენი ექიმები დროებით სხვებით ჩანაცვლდნენო, საბედნიეროდ, რიგ-რიგობით სძლევდნენ ვერაგ ვირუსს და მუშაობა არ შეწყვეტილა, ესაა—გართულდა მუშაობის ისედაც რთული პროცესი.

მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა სასწრაფო დახმარების მუშაობით კმაყოფილია, უმცირესობა შეიძლება განაწყენებული. სამსახურს ორი ავტომანქანა ჰყავს, როცა ორივე გამოძახებაზეა გასული, იქნება დაგვიანებით მისვლის შემთხვევები, იქნება არა იმიტომ, რომ სასწრაფოს ეზოში მანქანა დგას, ან ექიმი არ არის ადგილზე და სრულ მზადყოფნაში. გამოძახებაზე გასული ბრიგადა უკან ხომ არ დაბრუნდება, ამასთან ხშირია ძალზე მსუბუქი სიმპტომების შემთხვევაში გამოძახება, ამ დროს კი სხვა, უფრო მძიმე შემთხვევაში, შესაძლოა წუთიც კი გადამწყვეტი იყოს.

2020 წელში 5500 გამოძახება ჰქონდათ, მიმდინარე წლის იანვარში 395. ჰყავთ 25 თანამშრომელი, 8 ბრიგადა, ყოველდღიური 2 ბრიგადა მუშაობს, ჰყავთ ორი მანქანა, რომელიც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობაზეა გათვლილი და საკმარისია, განსაკუთრებით მაშინ, როცა პაციენტებთან მისვლა პრიორიტეტების მიხედვით რეგულირდება და გასვლა ავადობის სირთულის მიხედვით ხდება. ბევრია დამოკიდებული მოსახლეობაზე—როცა იცი, რომ მუდმივი წნევის მატარებელი ხარ, წამლები გშველის, მეტი არაფერი გაწუხებს, სასწრაფოს გამოძახება იმისათვის, რომ წნევის წამლები გამოგელია, შეიძლება? შეიძლება ამ დროს ავარიის, თავდასხმის და სისხლიანი გარჩევის დროს, კაცი სისხლისაგან იცლება? აქვთ შემთხვევები, როცა ადამიანს საავადმყოფოში გადაყვანა ჯანმრთელობის გამო არ ესაჭიროება, მაგრამ დაჟინებით ითხოვენ გადაყვანას—ზოგჯერ ოჯახის წევრები არც მიყვებიან, მერა გავუკეთო, თავმდგმურათ ვინ დამაყენებსო. ვთქვით, რომ ექიმები, ექთნები, მძღოლები კორონავირუსით დაავადდნენ. მიზეზი ძირითადად ავადმყოფებთან კონტაქტი იყო. პაციენტის ოჯახის წევრები ხშირ შემთხვევაში მალავდნენ, რომ პაციენტს კორონავირუსისათვის დამახასიათებელი სიმპტომები ჰქონდა. ექიმებმა კი მოუსმინეს ავადმყოფის ფილტვებს, გულს, გაუსინჯეს სიცხე, წნევა, ერთი სიყვით „ჩაუძვრნენ“ ლოგინში და დაავადდნენ, დააავადეს ოჯახის წევრები, ერთმანეთიც...

მალე ერთი წელი გახდება, რაც სასწრაფო სამედიცინო სამსახური ახალ შენობაში გადავიდა, სრულად არიან აღჭურვილნი საჭირო სამედიცინო საშუალებებით, ინვენტარით, მარაგდებიან სამსახურისათვის საერთაშორისო ნორმით გათვალისწინებული მედიკამენტებით. სამსახური 112-თან ერთად არეგულირებს პრიორიტეტებს, გადაუდებელ გასვლას და სირთულის გათვალისწინებით მის გადაწევას, საჭიროების დროს იღებენ დახმარებას მოსაზღვრე რაიონებიდან და თვითონაც ეხმარებიან.

ქალბატონი ლალი

ექიმი ლალი თხილაიშვილი 2005 წლიდან სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ხელმძღვანელია. მუშაობის მთელ მანძილზე სიძნელეებიც ჰქონია და სასიამოვნო დღეებიც, გულთან მიჰქონდა ავადმყოფთა სატკივარი, მუდმივად ზრუნავდა თანამშრომლებზე, მათ კეთილდღეობაზე, ახარებდა ინფორმაცია თუ პაციენტთა ჯანმრთელობა საიმედო იყო, თვითონაც ყოფილა გამოძახებებზე, თუ ამას საჭიროება მოითხოვდა, ასეა ახლაც, ამაყობს იმითაც, რომ ყველა თანამშრომელი სერთიფიცირებულია, ისინი დამსახურებულად იღებენ პაციენტებისაგან სიყვარულს, რასაც თავადაც უხვად გასცემენ. სასწრაფო სამედიცინო სამსახური მწყობრშია, შემართული, მუდმივად პაციენტთა ჯანმრთელობისაკენ ყურმიგდებული.

ჟუჟუნა ცხადაძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის სოციალური პროგრამები

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.29203641)

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ერთჯერადი 2021 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01 იანვარი 2021 წელი–31დეკემბერი 2021 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 250000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია დაეხმაროს და ხელი შეუწყოს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფას.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამის სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მუხლი 4. სამედიცინო მომსახურების დასახელება:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის სამედიცინო მომსახურების საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან შეიძლება დაფინანსდეს:

ა) საყოველთაო ჯანდაცვის ან კერძო დაზღვევის ფარგლებში განხორციელებული მომსახურება: ოპერაცია, გამოკვლევა;

ბ) საყოველთაო პროგრამით ან კერძო დაზღვევით დაუფინანსებელი ოპერაცია.

გ) ონკოლოგიურ ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურება.

დ) არ დაფინანსდება ესთეტიკური მიზნით ოპერაციები და საკეისრო კვეთა.

მუხლი 5. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების მოცულობა განისაზღვრება პაციენტის ასანაზღაურებელი თანხიდან:

1. 1000 ლარამდე თანხის ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხის 50 %ით;

2.1000 ლარიდან 4000- მდე 500 ლარით;

3. 4000 ლარიდან ზემოთ 1000 ლარის ოდენობით.

მუხლი 6. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

1. პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირს.

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაცია:

პროგრამით სარგებლობის მსურველი პირი, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში მისი მშობელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში მშობლების პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი. ასევე, დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა, პროგრამით სარგებლობის მსურველი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N100);

გ) გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯების მოცულობის განმსაზღვრელი დოკუმენტი (ინვოისი, კალკულაცია,) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, დაუფინანსებელი თანხის მოცულობის ჩვენებით;

დ) შეთანხმება სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტის წარმომადგენელს შორის (დავალიანების არსებობის შემთხვევაში);

ე) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმეს მიერ ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია;

ვ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან (ბოლო ერთი წლის მონაცემებით).

მუხლი 8. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და ამზადებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე, სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებელი თანხის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, რასაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური.

ნინო ჯანელიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.29203642)

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით დახმარების 2021 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით დახმარების პროგრამა.

2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 01 იანვარი 2021 წელი–31 დეკემბერი 2021 წელი.

3. **პროგრამის ბიუჯეტი:** 80000 (ოთხმოცი ათასი) ლარი.

4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი.

5. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახები.

მუხლი 4. საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

1. ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვალების მოწმობის ასლი;

გ) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმეს მიერ ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია.

მუხლი 5. საკვები პროდუქტების გაცემის წესი და ოდენობა:

1. ამ პროგრამით განსაზღვრულ ოჯახებს საკვები პროდუქტები მიეცემათ შემდეგი ოდენობით:

უკიდურესად გაჭირვებულ და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ოჯახებს არაუმეტეს150 ლარის ოდენობით სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე შესაძლებელია გაიცეს არაუმეტეს ორჯერ;

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სამუშაო ჯგუფი.

3. გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც გაცემს შესაბამისი ოდენობის ტალონს და ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

4. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

ნინო ჯანელიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.29203643)

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2021 წლის დახმარების პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბერი.

3. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი: 225000 (ორას ოცდახუთი ათასი ლარი) ლარი. აქედან:

ა) საცხოვრებელი სახლები, რომლებიც დაზიანების მასშტაბის გამო საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას, ბიუჯეტი განისაზღვროს 50 000 ლარით. (განცხადების განმეორების წარმოდგენის შემთხვევაში შეისწავლოს კომისიამ)

ბ) მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და შეძენის ბიუჯეტი განისაზღვროს 175 000 ლარით.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია დაეხმაროს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მცხოვრებ მოქალაქეებს, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების მასშტაბის გამო საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას, ამასთანავე პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას ან/და შეძენას, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების მასშტაბის გამო ექვემდებარება დემონტაჟს.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: პროგრამის სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სახლდაზიანებული მოქალაქეების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეთა კატეგორია:

1. პროგრამის პირველი მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის სარგებლობის უფლება აქვთ თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ან/და მცხოვრებ ყველაზე მძიმე ეკონომიკურ პირობებში მცხოვრებ სოციალურად გაჭირვებულ მოქალაქეებს, რომელთა საცხოვრებელი სახლი დაზიანებულია და საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას.

2. პროგრამის პირველი მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის სარგებლობის უფლება აქვთ, ყველაზე მძიმე ეკონომიურ პირობებში თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ან/და მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, მათი საცხოვრებელი სახლი დაზიანების ხარისხის მიხედვით საცხოვრებლად უვარგისია და ექვემდებარება დემონტაჟს.

3. მოქალაქის ცხოვრების ფაქტი ცნობით უნდა დაადასტუროს მერის წარმომადგენელმა შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში და აღნიშნულ მოქალაქეს არ უნდა გააჩნდეს სხვა საცხოვრებელი სახლი საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით (წარმოადგინოს ცნობა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ).

4. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქე (ოჯახი) პროგრამით განსაზღვრულ დახმარებას მიიღებს ერთჯერადად.

მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებისათვის გასაცემი ფინანსური დახმარების ოდენობა და მისი გაცემის პირობები:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის და საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია;

გ) საცხოვრებელი სახლის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი ☞5

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის სოციალური პროგრამები

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.29203643)

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2021 წლის დახმარების პროგრამა

4 ☞

ან მერის წარმომადგენელის მიერ გაცემული ცნობა უძრავი ქონების (დაზიანებული საცხოვრებელი სახლი) ფლობის შესახებ;

დ) საჭიროების შემთხვევაში ანგარიშის ნომერი ლიბერთი ბანკიდან.

2. სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და საცხოვრებელი სახლის შეძენის შემთხვევაში განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა საცხოვრებლად უვარგისი სახლის დემონტაჟის შესახებ და სოციალურად დაუცველი მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში მითითებულ განცხადებას შეისწავლის თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისია, რომელიც ამოწმებს მოქალაქის საცხოვრებელი სახლის მდგომარეობას, მოქალაქის ოჯახის სოციალურ პირობებს და ადგენს შესაბამის დასკვნას მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილების (რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს მოქალაქისათვის გასაწევი ფინანსური დახმარების ოდენობა) ან მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

4. კომისიის დასკვნა შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცემა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურს, რომელიც კომისიის დასკვნის საფუძველზე ამზადებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს მოქალაქისათვის ფინანსური დახმარების გაცემის შესახებ ან მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

5. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებს პროგრამის ფარგლებში მიეცემათ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება.

6. სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის საცხოვრებელი სახლის შეძენა ან/და მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობა შესაძლებელია მუნიციპალიტეტის მერიამ კანონით დადგენილი წესით განახორციელოს 35000 ლარის ფარგლებში.

7. ხანძრის ან სხვა სტიქიური მოვლენის შემთხვევაში კომისიის დასკვნის საფუძველზე, რომელიც შეაფასებს სტიქიური მოვლენის შედეგად მიღებულ ზარალს, პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებს პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია მიეცეს არაუმეტეს 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება.

8. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

ნინო ჯანელიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.29203644)

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2021 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა.

2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 01 იანვარი 2021 წელი–31 დეკემბერი 2021 წელი.

3. **პროგრამის ბიუჯეტი: 146 000 (ას ორმოცდაექვსი ათასი) ლარი.**

4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი.

5. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია დაეხმაროს და ხელი შეუწყოს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ოჯახებს.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახები:

ა) იძულებით გადაადგილებულ მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახები;

ბ) ობოლ ბავშვთა ოჯახები (18 წლამდე);

გ) სამ და მეტ შვილიანი ოჯახები;

დ) იშვიათი და ონკოლოგიურ დაავადების მქონე პირთა ოჯახები;

ე) გადაადგილება შეზღუდული შშმ პირთა ოჯახები;

ვ) ვეტერანთა ოჯახები;

ზ) მარტოხელა პირები;

თ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახები;

ი) ოჯახში ძალადობის მსხვერპლი;

კ) სოციალურად დაუცველთა ოჯახები;

ლ) ქრონიკულ დაავადებათა მქონე პირები.

2. ასევე დახმარებას მიიღებენ, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახები, რომლებიც ამ პროგრამაში მოყვანილ არცერთ კატეგორიას არ მიეკუთვნება და დახმარების თხოვნის მომენტში იმყოფებიან მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში.

მუხლი 4. ერთჯერადი ფინანსური დახმარების ოდენობა:

1) თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების, მარტოხელა პირების, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების, რომლებიც ამ პროგრამაში მოყვანილ არცერთ კატეგორიას არ მიეკუთვნება და დახმარების თხოვნის მომენტში იმყოფებიან მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება განისაზღვროს 100 ლარის ოდენობით წელიწადში ერთჯერადად.

2) ობოლ ბავშვთა ოჯახების (18 წლამდე), შშმ პირთა ოჯახების, ვეტერანთა ოჯახების, ქრონიკულ დაავადებათა მქონე პირების, სამი და მეტ შვილიანი ოჯახების და სოციალურად დაუცველ ოჯახების (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000) დახმარება 150 ლარით წელიწადში ერთჯერადად.

3) იშვიათ და ონკოლოგიურ დაავადების მქონე ოჯახების დახმარება 200 ლარით წელიწადში ერთჯერადად.

4) ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება 500 ლარით წელიწადში ერთჯერადად.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტაცია:

პროგრამით სარგებლობის მსურველი პირი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ავადმყოფობის შემთხვევაში ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა№100/ა) გაცემული შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან;

გ) ქვემდებარე კონტიგენტის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმეს მიერ ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია;

ე) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ლიბერთი ბანკიდან;

ვ) შემაკავებელი ან დამცავი ორდერი ან/და მომხდარი ფაქტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი (ოჯახში ძალადობის მსხვერპლის შემთხვევაში);

ზ) სოციალურად დაუცველთა შემთხვევაში ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ერთიანი ბაზიდან.

მუხლი 6. ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემის წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სამუშაო ჯგუფი.

2. სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციაზე, მერის შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

3. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

ნინო ჯანელიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.29203645)

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის დაფინანსების 2021 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის 2021 წლის პროგრამა.

2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 01 იანვარი 2021 წელი–31 დეკემბერი 2021 წელი.

3. **პროგრამის ბიუჯეტი:** 1000 (ათასი) ლარი.

4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი.

5. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამის სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა რეაბილიტაციას.

მუხლი 3. სამედიცინო მომსახურების და ფინანსების ოდენობა:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა რეაბილიტაცია დაფინანსდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წელიწადში არა უმეტეს 350 (სამასორმოცდაათი) ლარისა.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

1. პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირს.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაცია:

შშმ პირის მშობელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) მშობლების პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი, ასევე დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა, პროგრამით სარგებლობის მსურველი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N100).

გ) გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯების მოცულობის განმსაზღვრელი დოკუმენტი (ინვოისი, კალკულაცია) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.

დ) შეთანხმება სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტის წარმომადგენელს შორის (დავალიანების არსებობის შემთხვევაში)

ე) შშმ პირის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 6. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების წესი:

1.თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და ამზადებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე, სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებელი თანხის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, რასაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური.

ნინო ჯანელიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.29203646)

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური დახმარების 2021 წლის პროგრამა

მუხლი 1.ზოგადი დებულებები:

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური დახმარების პროგრამა.

2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 1 იანვარი 2021 წელი–31 დეკემბერი 2021 წელი.

3. **პროგრამის ბიუჯეტი:** 33000 (ოცდაცამეტი ათასი) ლარი.

4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი.

5. **პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა:** თვეში–40 ლარი.

6. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

☞6

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის სოციალური პროგრამები

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.29203646)

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური დახმარების 2021 წლის პროგრამა

5☜

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანს წარმოადგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთათვის კომუნალური გადასახადების გადახდაში ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება პირველი ჯგუფის უსინათლოთათვის სოციალური მდგომარეობა.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

1. პროგრამით სარგებლობის უფლება აქვთ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მოქალაქეებს, რომლებიც პროგრამის ამოქმედების დროისათვის რეგისტრირებული არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში და ამავდროულად არიან პირველი ჯგუფის უსინათლოები.

მუხლი 5. სოციალური დახმარების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და წარდგენის წესი:

1. ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ფორმა №IV-50/4 (კომისიის დასკვნა) პირველი ჯგუფის უსინათლობის შესახებ, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.

გ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

მუხლი 6. დაფინანსების ოდენობა და დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

ნინო ჯანელიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.29203647)

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური დახმარების 2021 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

ა. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური დახმარების პროგრამა.

ბ. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01 იანვარი 2021 წელი – 31 დეკემბერი 2021 წელი.

გ. პროგრამის ბიუჯეტი: 5000 (ხუთი ათასი) ლარი.

დ. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი.

ე. პროგრამის მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე ბენეფიციარზე 70 (სამოცდაათი) ლარი ყოველთვიურად.

ვ. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება:

მარტოხელა მშობელი არის მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის სტატუსის მქონე პირი.

მუხლი 3. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები:

გაეწიოს და გაუუმჯობესდეს სოციალური მდგომარეობა მარტოხელა დედებს (მამებს).

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირი.

მუხლი 5. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია:

ა. განცხადება მერის სახელზე;

ბ. დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობის ასლი;

გ. ბავშვის დაბადების მოწმობა;

დ. მარტოხელა მშობლის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე. დახმარების მიმღები პირის ანგარიშის ნომერი ლიბერთი ბანკიდან.

მუხლი 6. მარტოხელა მშობლის დაფინანსების მიღების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

ნინო ჯანელიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.29203648)

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების 2021 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების პროგრამა.

2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 1 იანვარი 2021 წელი–31 დეკემბერი 2021 წელი.

3. **პროგრამის ბიუჯეტი: 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი.**

4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი.

5. **პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა:** თვეში–150 ლარი.

6. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები:

დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების მედიკამენტებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა და სამედიცინო დაწესებულებაში გადაადგილების ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორიაა თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომლებიც პროგრამის ამოქმედების დროისათვის რეგისტრირებული არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში და ამავდროულად სარგებლობენ დიალიზის სახელმწიფო პროგრამით.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა (ფორმა100) დიალიზის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობის შესახებ, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.

გ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

მუხლი 5. მომსახურების დაფინანსების ოდენობა და დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თან დართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერიის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

ნინო ჯანელიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.29203649)

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე ჯანმრთელობისა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე მედიკამენტებით დახმარების 2021 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მძიმე ჯანმრთელობისა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე მედიკამენტებით დახმარების პროგრამა.

2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 01იანვარი 2021 წელი–31 დეკემბერი 2021 წელი.

3. **პროგრამის ბიუჯეტი: 40000 (ორმოცი ათასი) ლარი.**

4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი.

5. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, პროგრამით მოსარგებლე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

1. ამ პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეები, რომლებიც განცხადების შეტანის დღემდე რეგისტრირებული არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

1. პროგრამით სარგებლობის მსურველი პირი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რასაც თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ექიმის მიერ გაცემული დანიშნულება პაციენტის სახელის და გვარის მითითებით ასევე ფორმა 100ა.

გ) ამონაწერი აფთიაქიდან შესაბამისი მედიკამენტის ფასის მითითებით.

დ) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმეს მიერ ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია.

მუხლი 5. მედიკამენტების ტალონის გაცემის წესი და ოდენობა:

1. პროგრამით განსაზღვრულ მოქალაქეებს მიეცემათ მედიკამენტების ტალონი პირადი განცხადების საფუძველზე არაუმეტეს150 ლარის ოდენობით-ერთჯერადად.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას ათანხმებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და განმცხადებელს გადასცემს შესაბამისი ოდენობის ტალონს. თვეში ერთჯერ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

3. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

ნინო ჯანელიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.292036410)

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახების ფინანსური დახმარების 2021 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.**პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამა.

2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 1 იანვარი 2021 წელი–31 დეკემბერი 2021 წელი.

3. **პროგრამის ბიუჯეტი: 50000 (ორმოცდათი ათასი) ლარი.**

4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი.

5. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

☞7

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის სოციალური პროგრამები

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.292036410)

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახების ფინანსური დახმარების 2021 წლის პროგრამა

☞ 6

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახების მატერიალური დახმარების გაწევა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორიაა ახლშობილთა ოჯახები (მშობლები), რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მუხლის მოთხოვნებს და განცხადების წარმოდგენის დროისათვის კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულნი არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში, კერძოდ:

ა) ბავშვის მშობლები, რომლებიც განცხადების დაწერის დროისათვის რეგისტრირებულნი არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში;

ბ) მარტოხელა მშობელი (დედა ან მამა), რომელიც განცხადების დაწერის დროისათვის რეგისტრირებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტში.

მუხლი 4. მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტაცია, დახმარების ოდენობა:

1. ამ პროგრამით განსაზღვრულ ოჯახებს ფინანსური დახმარება მიეცემათ თითოეულ ახალშობილზე ერთჯერადად, შემდეგი ოდენობით:

ა) პირველ და მეორე ახალშობილზე 200 (ორასი) ლარი;

ბ) მესამე ახალშობილზე 250 (ორასორმოცდაათი) ლარი;

გ) მეოთხე, მეხუთე და ა.შ.ახალშობილზე 300 (სამასი) ლარი.

დ) ტყუპების შემთხვევაში 600 (ექვსასი).

2. ახალშობილთა ოჯახებზე ფინანსური დახმარება გაიცემა განცხადების საფუძველზე, რომელსაც ერთ–ერთი მშობელი წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერიას ბავშვის დაბადებიდან არაუგვიანეს ერთი წლის ვადაში.

3. განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი (ტყუპების შემთხვევაში–ასლები);

ბ) მშობლების პირადობის მოწმობის ასლები;

გ) ამ პროგრამის მე–4 მუხლის პირველ პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დამატებით მრავალშვილიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი (თითოეული ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი).

დ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

მუხლი 5. ახალშობილთა ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაცემის წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თან დართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერიის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

ნინო ჯანელიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.292036411)

უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2021 წლის პროგრამა

მუხლი 1.ზოგადი დებულებები

1. **პროგრამის სახელწოდება:** უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2021 წლის პროგრამა.

2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 1 იანვარი 2021 წელი–31 დეკემბერი 2021 წელი.

3. **პროგრამის ბიუჯეტი: 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი.**

4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი.

5. **პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა:** თვეში– არაუმეტეს 200 (ორასი) ლარი.

6. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

1. პროგრამის მიზანია უსახლკარო ადამიანების აღრიცხვა და დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

2. იმ ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა, რომლებმაც გაუთვალისწინებელი გარემოების გამო დაკარგეს საცხოვრებელი და დღემდე იმყოფებიან თავშესაფრის გარეშე.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

ა) თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ამავე დროს მცხოვრები უსახლკარო ოჯახები, რომლებსაც არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი ფართი და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000 -ს.

ბ) ძალადობის მსხვერპლი პირები.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინონ:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) საცხოვრებელი ფართობის არქონის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან);

დ) შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის წერილობითი რეკომენდაცია განმცხადებლის საცხოვრებელი ფართის არქონის შესახებ; ე)ქირავნობის ხელშეკრულება1 წლის ვადით.

ვ) გამქირავებლის პირადობის მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში ბანკიდან და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ქონების საკუთრების შესახებ.

ზ) შემაკავებელი ან დამცავი ორდერი ან/და მომხდარი ფაქტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი (ძალადობის მსხვერპლის შემთხვევაში).

თ) ამონაწერი სოციალიალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (მესამე მუხლის „ა“ პუნქტით სარგებლობის შემთხვევაში).

მუხლი 5. დახმარების გაცემის წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სამუშაო ჯგუფი.

2. სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციაზე, მერის შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

3. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

ნინო ჯანელიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.292036412)

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური დახმარების 2021 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01 იანვარი 2021 წელი – 31 დეკემბერი 2021 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულ ბენეფიციარის დახმარება თვეში - 100 (ასი) ლარი, ფენილკეტონურიით დაავადებული ბენეფიციარებისათვის თვეში 300 (სამასი) ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანს წარმოადგენს დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა გაუთვალისწინებელი სამედიცინო მომსახურეობის ხარჯების უზრუნველყოფა და ფენილკეტონურიით დაავადებულთა საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამის განხორციელება დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე ხელს შეუწყობს ფენილკეტონურიით დაავადებულთა სპეციალური კვების პროდუქტების უზრუნველყოფას და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაციას.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებული ბავშვები.

მუხლი 5. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი: პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ :

ა) განცხადება ერთ-ერთი მშობლის სახელზე.

ბ) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა 100/ა ან ცნობა შ.შ.მ პირთა შესახებ.

გ) განმცხადებლის (მშობლის, მეურვის) საბანკო ანგარიში ბანკიდან.

დ) დაბადების მოწმობა, ორივე მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, ან არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი.

ე) სასამართლო გადაწყვეტილება მეურვის არსებობის შემთხვევაში.

ვ) სამკურნალო კვების შემთხვევაში, შესაბამისი დაწესებულებიდან კვების შესახებ ანგარიშფაქტურა.

მუხლი 6. დაფინანსების ოდენობა და დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თან დართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

ნინო ჯანელიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.292036413)

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარების 2021 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარების პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი 2021 წელი–31 დეკემბერი 2021 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 30000 (ოცდაათი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: პარკინსონით ან ეპილეფსიით დაავადებულ ერთ ბენეფიციარზე 150 (ასორმოცდაათი) ლარი, რომელიც გაიცემა ერთჯერადად.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე, პროგრამის მიზანს წარმოადგენს ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებული ბენეფიციარების ყოველდღიური მოხმარების მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამის განხორციელება დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე ხელს შეუწყობს ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაციას.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე-პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებული პირები.

მუხლი 5. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, განცხადებას თან უნდა დაერთოს: ☞ 8

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის სოციალური პროგრამები

7 ☜

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.292036413)

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარების 2021 წლის პროგრამა

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა100/ა ან ცნობა შ.შ.მ პირთა შესახებ.

გ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში ბანკიდან.

დ) არასრულწლოვანის შემთხვევაში: დაბადების მოწმობა, ორივე მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, ან არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი. განცხადება ერთ-ერთი მშობლის სახელზე.

ე) ქმედუუნარო პირის შემთხვევაში: გადაწყვეტილება მეურვის დანიშვნის შესახებ.

მუხლი 6. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა და დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

ნინო ჯანელიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.292036414)

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური დახმარების 2021 წლის პროგრამა

მუხლი 1.ზოგადი დებულებები:

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური დახმარების პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი 2021 წელი–31 დეკემბერი 2021 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 4000 (ოთხი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: თვეში–50 ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები:

ერთჯერადი კვების ობიექტის ფუნქციონირების შეწყვეტის შედეგად აღრიცხვაზე მყოფი ბენეფიციარებისათვის ფინანსური დახმარება და მათი სოციალური მდგომარეობის შედარებით გაუმჯობესება.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომლებიც სარგებლობდნენ ერთჯერადი კვების ობიექტით.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

1. ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

მუხლი 5. მომსახურების დაფინანსების ოდენობა და დაფინანსების წესი:

1. მერის შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

ნინო ჯანელიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლამედი: ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს გისურვებთ...

იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრი „იმერმედი“ კოვიდინფექციის ფართოდ გავრცელების პირველსავე დღეებში გადავიდა კოვიდინფიცირებული პაციენტების მომსახურეობაზე. სათანადოდ აღჭურვილმა კლინიკამ და გადამზადებულმა ექიმებმა შეძლეს კვალიფიციური მკურნალობა გაეწიათ კოვიდით დაავადებულებისათვის, მრავალი მადლობა მიეღოთ გამოჯანმრთელებული პაციენტებისაგან თუ მათი ოჯახების წევრებისაგან. დიახ, ექიმებმა უმკურნალეს ავადმყოფებს, რითაც საკუთარი ჯანმრთელობა და სიცოცხლე ჩააყენეს საფრთხეში, ბევრი ექიმი დაავადდა, მაგრამ საბედნიეროდ დაამარცხეს კოვიდი და კვლავ ავადმყოფთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგანან.

გვესაუბრება „თერჯოლამედის“ პიარმენეჯერი მაია ერგემლიძე:

მოგეხსენებათ, პანდემიის დაწყებისთანავე კლინიკა „იმერმედი“ 2020 წლის 8 მარტიდან ჩართული იყო როგორც „ცხელების ცენტრი“, ხოლო 13 სექტემბრიდან იყო ერთადერთი კლინიკა ქვეყანაში, რომელიც ემსახურებოდა კოვიდ-ინფიცირებულ ფსიქიურ ავადმყოფებს. კოვიდ-პანდემიის მეორე ტალღის დაწყებისთანავე, ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, 12 ოქტომბრიდან მოგვენიჭა „კოვიდ-კლინიკის“ სტატუსი 101 საწოლზე, ხოლო სახელმწიფოს მოთხოვნით, მაქსიმალური საწოლ-ფონდი 21 ოქტომბრიდან განისაზღვრა 146 საწოლით. აქედან, 18 კოვიდ- რეანიმაციული, 50 კოვიდ-ინტენსიური, 31 საშუალო სიმძიმის თერაპიული, 6 პედიატრიული, 4 სამეანო, 2 ნეონატოლოგიური, 18 კოვიდ-ფსიქიატრიული, 5 ცხელების და 13 გადაუდებელი დახმარების საწოლი. მ.წ. 1 თებერვლამდე კლინიკას მომართა 2 ათასამდე პაციენტმა ცხელებით, აქედან დადასტურებული კოვიდ-19-ის დიაგნოზით ჰოსპიტალიზირებულ იქნა 1600-მდე პაციენტი. უნდა ავღნიშნოთ, რომ „იმერმედი“ პანდემიის პერიოდში დასავლეთ საქართველოში იყო ერთ-ერთი მსხვილი კოვიდ-კლინიკა, სადაც თითქმის მთელი ქვეყნის მასშტაბით ხდებოდა კოვიდ-ინფიცირებულ მძიმე და კრიტიკულ პაციენტთა შემოყვანა, მათ შორის კარდიოლოგიური, ნევროლოგიური, ნეირო-ქირურგიული, ქირურგიული, სისხლძარღვთა ქირურგიული და სამეანო-გინეკოლოგიური პროფილით. შესაბამისად მაღალი იყო ლეტალობის მაჩვენებელი. სამწუხაროდ, გარდაგვეცვალა ორი თანამშრომელი, ერთი ჩვენს კლინიკაში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „იმერმედის“ მედპერსონალმა დიდი დარტყმა მიიღი პანდემიის მეორე ტალღის დროს, დაინფიცირდა 95 თანამშრომელი, რომელთაგან ბევრს, ექიმს, ექთანს, სანიტარს, არ დაუტოვებია სამუშაო ადგილი და თავად დაინფიცირებულნი ერთგულად და უანგაროდ ემსახურებოდნენ ინფიცირებულებს. მადლობა მათ, ყველას სახელით...

ქვეყანაში არსებული პანდემიური სიტუაციდან გამომდინარე, კოვიდ-ინფექციის სტაბილიზაციის ფონზე, კლინიკაში მოიკლო კოვიდ პაციენტების მომართვიანობის რიცხვმა, დაწესებულებამ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები და ჯერ კიდევ დეკემბრის თვიდან განაახლა მწვავე ფსიქიკური განყოფილება. ასევე კოვიდ-განყოფილებებიდან იზოლირებულად გამოიყო ე.წ. სუფთა (შერეული მრავალპროფილური) განყოფილება. დღეისათვის კლინიკა ფუნქციონირებს, როგორც ჰიბრიდული დაწესებულება და ემსახურება როგორც კოვიდ ინფიცირებულ პაციენტებს 111 საწოლით და ასევე, არაინფიცირებულ ყველა პროფილის პაციენტებს 47 საწოლით. რაც იმას ნიშნავს, რომ შეგვიძლია მოვემსახუროთ ნებისმიერი პროფილის პაციენტებს სრულყოფილად.

8 თებერვლიდან კლინიკა „იმერმედში“ ფუნქციონირება დაიწყო მოლეკულურუმა ლაბორატორიამ (ე.წ. PCR-ლაბორატორია). რაც საშუალებას მოგვცემს უსწრაფესი მეთოდით იქნას მიღებული ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (covid-19) დასადგენად პსრ მეთოდით ჩატარებული ტესტის პასუხი (მინიმუმ 4 საათში და მაქსიმუმ 24 საათში). შესაძლებელი იქნება ბინაზე მომსახურება.

კლინიკა „იმერმედი“ არის მოსახლეობის ინტერესებსა და მოთხოვნებზე მორგებული დაწესებულება, ჩვენი მიზანია მაღალი ხარისხით გავუწიოთ მომსახურეობა მოსახლეობას და დავაკმაყოფილოთ მათი მოთხოვნები ხელსაყრელ პირობებში. რაიონის მასშტაბით, სურვილის შემთხვევაში, მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება ისარგებლოს ბინაზე გამოძახების სერვისით, როგორც ლაბორატორიული, ასევე სხვა სამედიცინო მომსახურეობით.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დაწესებულებას შემოემატა ახალი სახეები, გამოცდილი, პროფესიონალი და საკუთარი საქმისადმი დიდი სიყვარულით გამორჩეული ახალგაზრდა სპეციალისტები.

კლინიკა „იმერმედი“ აქტიურად განაგრძობს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვას.

გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს.

ქვეყანაში მნიშვნელოვნად იკლო კოვიდინფიცირებულთა რიცხვმა, მალე საბოლოოდ დამარცხდება ვერაგი ვირუსი და „თერჯოლამედი“ მთლიანად დაუბრუნდება მუშაობის ჩვეულ რეჟიმს, მოემსახურება ყველა პროფილის პაციენტს, მითუმეტეს, რომ ეს პროცესი დაწყებულია.

ჟუჟუნა ცხადაძე

გილოცავთ, გილოცავთ!

ომარ (ბობრი) ჭურაძე

ჩვენო **ომარ (ბობრი)** გილოცავთ თქვენი ცხოვრების ღირსშესანიშნავ თარიღს, დაბადების 75 წლისთავს. მუდამ ბედნიერი და ჯანმრთელი გვენახეთ, გვიგულეთ თქვენს გვერდით.

პატივისცემით: გოჩა ბუცხრიკიძე, გურამ კუპატაძე, ნიკოლოზ ვერულაშვილი, ზაალ პატარიძე, ვახტანგ პატარიძე

სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭო, პედაგოგები და ტექნიკური პერსონალი შვილიშვილის შეძენას ვულოცავთ ამავე სკოლის მასწავლებელს, **ლამზირა მემანიშვილს**. პატარა **ნენე აბჟანდაძეს** ვუსურვებთ ბედნიერ ბავშვობას და სასახელო ქართველ ქალად აღზრდას.

* * *

სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის პედაგოგები, ტექნიკური პერსონალი და სამეურვეო საბჭო ქორწინებას ვულოცავთ თანამშრომელს. **ვიოლა თურქიას** და **დავით სულამანიძეს** ვუსურვებთ ბედნიერებას, შვილთა სიმრავლეს, ფუძეძლიერი ოჯახის შექმნას.

სოფელ ზედა სიმონეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს, ღირსეულ და გამორჩეულ პიროვნებას, ბატონ **ზვიად ბაზაძეს** დიდი პატივისცემითა და სიყვარულით იუბილეს ულოცავენ წარ-

მომადგენლის ასისტენტები **შორენა გვენეტაძე** და **დავით თორთლაძე.** უსურვებენ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ულევ სიხარულს და მისთვის ჩვეული შემართებითა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით კიდევ მრავალი წელი წარმატებულ მოღვაწეობას.

ერთად შევქმნათ უსაფრთხო სამუშაო გარემო

გასული და მიმდინარე სასწავლო წლის პირველი სემესტრი რთული აღმოჩნდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის. ქვეყანაში კორონავირუსის მზარდმა გავრცელებამ დისტანციურ სწავლებაზე გადაიყვანა სკოლები, რაც არ იყო ადვილი, მაგრამ სასწავლო წელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის სკოლებში კარგად დამთავრდა, დაგროვდა დიდი გამოცდილება, სკოლა და ოჯახი ასე ერთიანი არასოდეს ყოფილა. მშობლების დიდმა ნაწილმა, შესაძლოა, დიდი გაჭირვებით, მაგრამ მოახერხა შვილების უზრუნველყოფა ტექნიკური საშუალებებით. პედაგოგები, მშობლები, მოსწავლეები თვლიდნენ, რომ სკოლაში სიარულს და სწავლების ჩვეულებრივ პროცესს არაფერი სჯობია. მთავრობის გადაწყვეტილება,—კვლავ მისხდომოდნენ მოსწავლეები მერხებს, გაკვეთილები ჩვეულ რეჟიმში ჩატარებულიყო, დიდი გამოცდის წინაშე დააყენა სკოლები, რადგან ამ გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციები—ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან დაკავშირებით. ეს რთული, მაგრამ საჭირო რეკომენდაციები სამოქმედო გეგმად ჰქონდათ სკოლებს და ემზადებოდნენ სასწავლო პროცესის საკლასო ოთახებში დაწყებისათვის...

ერთი შეკითხვა
სკოლის დირექტორებს

როგორ სრულდება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის რეკომენდაციები ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან დაკავშირებით და რამდენად მომზადებული შეხვდით სასწავლო წლის მეორე სემესტრის სკოლის კედლებში დაწყებას?

ნინო თოდიძე—ახალთერჯოლის საჯარო სკოლის დირექტორი.

სკოლამ პანდემიის პირობებში შეიმუშავა საგანგებო გეგმა. სკოლის შესასვლელში განთავსებული გვაქვს დეზობარიერები სათანადო ნიშნის მითითებით. შესასვლელში ხორციელდება თერმოსკრინინგი, რათა გაკონტროლდეს როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეების და სკოლაში შემომსვლელი ნებისმიერი ვიზიტორის ჯანმრთელობის მდგომარეობა ტემპერატურის გაზომვით. სკოლის შესასვლელში მოწყობილია მოსაცდელი სივრცე. შენობის პირველ სართულზე განთავსებულია საიზოლაციო ოთახი შესაბამისი პირობების დაცვით.

სკოლაში განთავსებულია ანტისეპტიკური საშუალებების დისპანსერები ყველა სართულზე და საერთო სარგებლობის სივრცეებთან.

სკოლა უზრუნველყოფილია პირბადეებით და ვუზრუნველვყოფთ ნებისმიერი პირის შენობაში შემოსვლას პირბადით დეზობარიერის გავლით, თერმოსკრინინგის და ხელის ჰიგიენის ჩატარების შემდეგ.

სკოლა ერთცვლიანია და ხდება სასწავლო დღის შემდგომ საერთო გამოყენების სივრცის სველი წესით დალაგება.

სკოლას ემსახურება ტრანსპორტი ორი მიმართულებით. მოსწავლეებს თერმოსკრინინგი უტარდებათ ტრანსპორტში ასვლამდე. ტრანსპორტირებისას ნებისმიერი პირისათვის სავალდებულოა პირბადის გამოყენება. მიმდინარე სასწავლო წელს ექსპლოატაციაში შევიდა სკოლის პირველ სართულზე განთავსებული კეთილმოწყობილი სველი წერტილები, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.

სანიტარული კვანძის დასუფთავებისათვის გამოსაყენებელი საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები, შენახულია სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ ჩაკეტილ სათავსოში.

ყველა სართულზე განთავსებულია წყლის დისპანსერები. მოსწავლეებს მიეცათ რეკომენდაცია წყლის ბოთლის სკოლაში ტარების შესახებ.

სკოლა მოგეხსენებათ მცირეკონტიგენტიანია. ოთახების ფართობი (35-54 კვ. მ-ია). ეს საშუალებას გვაძლევს საგაკვეთილო პროცესში დისტანცია მაქსიმალურად იქნას დაცული. სკოლის დერეფნებში განთავსებულია COVID- 19-თან დაკავშირებული ფოტომასალა და რეკომენდაციები.

ია კვატაია—სიქთარვის საჯარო სკოლის დირექტორი.

მიმდინარე სასწავლო წელი ჩვენი სკოლისთვის განსაკუთრებული წელია. სკოლის ახალი შენობის გამო გამოწვეულ უდიდეს სიხარულს პანდემიის პრობლემებს ვუბალანსებთ და პოზიტიური განწყობითა და მაქსიმალური მზაობით ვაგრძელებთ სასწავლო პროცესს საკლასო ოთახებში.

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლა მომარაგებული იყო დეზობარიერებით, სადეზინფექციო ხსნარებით, დისპანსერებითა და სხვა საჭირო რესურსებით. პირველი სემესტრი საკლასო ოთახებში დავიწყეთ, ხოლო 18 ნოემბრიდან დისტანციურ სწავლებაზე გადავედით. ამის საფუძველი გახდა სკოლის რამდენიმე თანამშრომლისა თუ მოსწავლის დაინფიცირება. რეკომენდაციის შესაბამისად, დადასტურებისა თუ სიმპტომების არსებობის შემთხვევაში ოფიციალურად ვუკავშირდებით საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური სამსახურის უფროსს, ქალბატონ თამარ არჯევანიძეს, რომლისგანაც გონივრულ ვადაში ვიღებთ წერილობით რეკომენდაციას, მომდევნო ეტაპზე სრულად თუ ნაწილობრივ დისტანციური სწავლების მოთხოვნის მიზნით საგანმანათლებლო რესურსცენტრს ვუგზავნით წერილს, რომელსაც ვურთავთ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური სამსახურის რეკომენდაციას, თუ ჰიბრიდულ-ნაწილობ-

რივ დისტანციურ სწავლებაზე გადასვლაა რეკომენდაციით გათვალისწინებული, რესურსცენტრის უფროსის, ქალბატონ ქეთევან შეყრილაძის ბრძანების საფუძველზე, გადავდივართ ასეთი ტიპის სწავლებაზე, თუ სრული დისტანციური სწავლების აუცილებლობაა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გამოსცემს შესაბამის ბრძანებას. უნდა აღვნიშნო მუნიციპალიტეტის მერიისა და სოფლის წარმომადგენლის მხრიდან სისტემატური მოკითხვისა და ყურადღების შესახებ.

მეორე სემესტრი საკლასო ოთახებში დავიწყეთ. ამ ეტაპზე სკოლაში 102 მოსწავლე სწავლობს და სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა დისტანციის საშუალებას, როგორც საკლასო ოთახებში, გაკვეთილებზე, ისე დერეფნებსა თუ სარეკრეაციო ადგილებში. სკოლის თანამშრომლები ატარებენ სრულყოფილად მორგებულ პირბადეს. მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაციების შესაბამისად, მოსწავლეს არ ევალებოდა პირბადის ტარება საგაკვეთილო პროცესზე, თავდაცვის მიზნით, სურვილი ჰქონდათ და ატარებდენ ახლა მითუმეტეს. ყველაზე მეტად უმცროსკლასელებს შორის, დასვენებაზე ჭირს ერთმეტრიანი დისტანციის დაცვა, მაგრამ მაქსიმალურად ყურადღებით ვართ ამ მხრივ. მოსწავლეებს ძალიან ხშირად უტარდებათ საუბრები, თუ როგორ უნდა დაიცვან რეკომენდაციები. თერმოსკრინინგს მოსწავლეები ჯერ სასკოლო ტრანსპორტში გადიან, შემდეგ სკოლის შესასვლელში. სკოლის შენობაში საკმარისადაა განთავსებული ე.წ. იდაყვის დისპანსერები და მოსწავლეები ხშირად იმუშავებენ ხელებს სადეზინფექციო ხსნარით. სველი წერტილები განთავსებულია ორივე სართულზე გოგონებისთვის ცალკე, ბიჭებისთვის ცალკე და მომარაგებულია თხევადი საპნითა და ჰიგიენისთვის საჭირო სხვა რესურსით, სკოლა უზრუნველყოფილია სასმელი თუ ტექნიკური წყლით, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ოთახში ხელოვნურად ხდება ვენტილაცია, ყოველ დასვენებაზე უზრუნველყოფილია ბუნებრივი ვენტილაცია.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს დამლაგებლების როლი. ჩვენი სკოლის სისუფთავის დაცვას ორი დამლაგებელი-მაყვალა კვატაია და მზევინარ პატარიძე ემსახურება. ისინი მთელი დღის განმავლობაში ფეხზე დგანან, საჭირო პერიოდით საკლასო ოთახებსა თუ დერეფნებში სადეზინფექციო ხსნარით წმენდენ ზედაპირებს. ყოველდღიურად იწმინდება შენობა სველი წესით სპეციალური სითხეებით.

სკოლის ყველა თანამშრომელი მაქსიმალურ მზაობას გამოხატავს არა მარტო თვითონ დაიცვას, არამედ მოსწავლეებსაც მუდმივად აფრთხილებენ რეკომენდაციების მაქსიმალურად დაცვის მიზნით. ყველაზე მეტად, რასაც ვწუხვართ, ისაა, რომ ახალ შენობაში უამრავი აქტივობა გვქონდა დაგეგმილი, რომელსაც პანდემიის გამო ვერ ვახორციელებთ, თუმცა მთავარი ამ ეტაპზე ჯანმრთელობაა, თავსაც უნდა გავუფრთხილდეთ და ერთმანეთსაც. ეს ნეგატიური მოვლენები მალე დამთავრდება და წინ ასანაზღაურებელიც და დაგეგმილი საინტერესო აქტივობები და დღეები გველის.

ინეზა ზამთარაძე—ღვანკითის საჯარო სკოლის დირექტორი.

სკოლაში 18 იანვრიდან მეორე სემესტრი საკლასო ოთახებში განახლდა. განათლების სამინისტროს მხარდაჭერით სკოლა უზრუნველყოფილია პირბადეებით, უკონტაქტო თერმომეტრებით, დეზობარიერითა და სადეზინფექციო სითხეებით, ასევე დაცულია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, ეს ეხება, პირველ რიგში, საპირფარეშოებს.

ყოველ დილით უპრობლემოდ მიმდინარეობს მოსწავლეთა თერმოსკრინინგი, მოწყობილია საიზოლაციო ოთახი, სადაც ცხელების დაფიქსირების შემთხვევაში მოსწავლის განთავსება მშობლის ადგილზე გამოცხადებამდე არის შესაძლებელი.

სკოლაში, სიტუაციის გართულების შემთხვევაში, გავითვალისწინებთ ყველა იმ რეკომენდაციას, რომელსაც ჯანდაცვის სამინისტრო გასცემს და მზად ვართ გადავიდეთ დისტანციური სწავლების ფორმატზე.

ჩვენი სკოლა იყენებს Microsoft-ის პლატფორმას, სადაც ყველა მოსწავლე და მასწავლებელი დარეგისტრირებულია და ყველას აქვს თავისი პერსონალური ანგარიში, ე.წ. ექაუნთი, მაქსიმალურად ვცდილობთ გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა, რათა არცერთი მოსწავლე არ აღმოჩნდეს დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა, მათ შორის, რა თქმა უნდა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებიც. სამწუხაროდ, ყველა მოსწავლეს არ აქვს ინტერნეტთან წვდომა, მაგრამ სკოლის გუნდი მზადაა, მათთან ტელეკომუნიკაციის საშუალებით მოახდინოს სწავლება.

მისასალმებელია განათლების სამინისტროს ჩართულობა დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მობილუროპერატორებთან გაფორმებული მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლები ივნისის ბოლომდე ისარგებლებენ შეღავათიანი მობილური ინტერნეტპაკეტით - 20 GB 10 ლარად, რაც სტანდარტულ ფასზე 2.5-ჯერ ნაკლებია.

ჩემთვის, როგორც ხელმძღვანელისთვის, იდეალური სკოლა, უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეთა შედეგებზე ორიენტირებაა. იდეალურია მასწავლებელი, რომლისთვისაც უმთავრესია კეთილგანწყობითი დამოკიდებულება და სიყვარული მოსწავლეებისადმი, რომელიც ზრუნავს, როგორც მოსწავლეთა პიროვნულ, ასევე შემოქმედებითი უნარის ზრდისათვის, იდეალურია მასწავლებელი, რომელსაც ძალიან უყვარს საგანი, რომელიც მუდამ ეძიებს და იყენებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, სწორედ ასეთია ღვანკითის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი: მუდამ პოზიტიური, მოტივირებულნი, კომუნიკაბელურნი, მიზანდასახულნი.

მოსწავლეები დაუბრუნდნენ საკლასო ოთახებს. სკოლებმა განსაზღვრეს პანდემიის პირობებში თავიანთი სამოქმედო გეგმა, რეკომენდაციების სრულად დასაცავად ყველგან ერთნაირი პირობები არ არის, მაგრამ არსებული შესაძლებლობები სრულად არის გამოყენებული. ქვეყანაში ყოველდღიურად კლებულობს ინფიცირებულთა რიცხვი, მალე გვექნება ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა, მერე კი სამკურნალო საშუალება, სკოლებშიც მოიხსნება სარეკომენდაციო მოთხოვნები, კვლავ ჩატარდება საინტერესო ღონისძიებები, ექსკურსიებიც მოეწყობა და ისევ აღსდგება ძველებური ურთიერთობები, მანამდე სიფრთხილე გვმართებს, რადგან ჯანმრთელობა და სიცოცხლე ყველაფერია.

ჟუჟუნა ცხადაძე

მალე გაზაფხული შემოგვიღებს კარს!

მომზადებული შევხვდეთ ახალ სასოფლო-სამეურნეო წელს...

თითქოს აგერ ახლა იყო „წყვილნომრიანი“ 2020 წელი, რომ მოგვეახლა თავისი დაპირებებით, იმედებით, სიახლეებით... იყო ბჭობა, აზრთა შეჯერება... ვდგამდით ნაბიჯებს; ვუმკლავდებოდით ბუნების კაპრიზებსა და გამოწვევებს. გვიხაროდა გასახარი...

არც საწუხარ-საფიქრალი გვტოვებდა „უყურადღებოდ“... ცხოვრებაა! გვერდს ვერ ავუვლით. მთავარია, გვჯეროდეს და გვწამდეს ნაფიქრალ-ნაზრევის. არ დავიზაროთ, მკლავი დავიკაპიწოთ და ზენაარი კეთილ მზერას არ დაგვმადლის...

აგერ, 2021-მაც კარზე მოგვიკაკუნა და თავის სამოქმედო პროგრამაც თან მოიყოლია. როგორც ჩვენები იტყოდნენ, რეალობა „თავის მოსაქავებელ“ დროს არ გვიტოვებს. დროულად უნდა დავრგათ, დავთესოთ, სხვა ათას საფიქრალსა და საზრუნავს მივხედოთ...

იანვარი თვალდახელშუა გავარდა. თებერვალმა უკვე გაზაფხულის მოახლოება გვაგრძნობინა.

ახალი სამეურნეო წელი! პერიოდი, როცა თავი უნდა გამოვუჩინოთ სოფელს. ამის გათვალისწინებით შესაბამისი საცნობარო წყაროებიდან ამოვკრიფეთ და სოფლის ყოველდღიურ ცხოვრებაში დასაქმებულ ადამიანებს ყოველგვარი რიგითობისა და კლასიფიკაციის გარეშე ვთავაზობთ აგროსპეციალისტებისა და გამოცდილი ფერმერების რჩევა-დარიგებებსა თუ ნაზრევს...

• დავიწყოთ იმით, რომ იმერეთში იშვიათად თუ ვინმე ამუშავებს (დახვნა, შემობარვა) ნიადაგს, სადაც ხეხილია გაშენებული. არადა ეს, აუცილებელია. ხელით უნდა შემოვუბაროთ ყოველ ხეს 25-35 სმ სიღრმეზე, საპლანტაციო გუთნით 50-60 სანტიმეტრზე.

• მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ მავნებლების წინააღმდეგ შესაბამისი პრეპარატების გამოყენებას. ეს საქმე ადრე გაზაფხულიდან უნდა დავიწყოთ. წლის განმავლობაში 7-8 ჯერ მაინც უნდა შევწამლოთ ნარგაობა.

• მნიშვნელობა ენიჭება ხეხილის გასაშენებლად შესაფერისი ნიადაგის შერჩევას. ზამთრის დადგომის წინ ბაღი დამპალი ნაყოფისა და ფოთლებისაგან უნდა გავათავისუფლოდ.

• ბევრმა არ იცის როგორ მოუაროს უეკლო მაყვალს და ჟოლოს. მათი მოვლის დროს აუცილებელია მცენარისთვის ზედმეტი ამონაყრების მოშორება. ჟოლო ყოველწლიურად უნდა განახლდეს. უეკლო მაყვალი კი ყოველწლიურად უნდა გაისხლას. მათ ნაყოფებს სამკურნალო და დიეტური თვისებები აქვს.

• ჩვენი ქვეყანა გოგრის წარმოშობის ერთ-ერთ ცენტრად ითვლება. უხვად შეიცავს ადამიანის ჯანმრთელობისათვის საჭირო ნივთიერებებს. განსაკუთრებით პოპულარულია „ხოკერა გოგრა“.

• ფორთოხალი უფრო ყინვაგამძლეა, ვიდრე ლიმონი, ნაყოფის დამწიფებისათვის მას მაღალი ტემპერატურა სჭირდება. მის დარგვას შემოდგომაზე—20 ოქტომბრიდან იწყებენ, გაზაფხულზე კი—25 მარტიდან 15 აპრილამდე. მის გასაშენებლად საუკეთესოა ქარებისგან დაცული ვაკე ადგილები. უვარგისია ჭარბტენიანი ნიადაგები, სადაც გრუნტის წყალი ზედაპირთან ახლოს დგება.



• მანდარინის ბაღებში ორგანული სასუქების გამოყენება ნიადაგის მდგომარეობას აუმჯობესებს. ისინი აჩქარებენ მცენარის ნაყოფის ზრდას და ყინვაგამძლეობას. ორგანული სასუქებიდან მსხმოიარე ბაღებში იყენებენ ნაკელს. აზოტიანი სასუქების შეტანა ეფექტურია ორჯერ. პირველად ყვავილობამდე მარტში, მეორედ—ყვავილობის შემდეგ—15 ივნისამდე.

თუ კივის გაშენებას გადაწყვიტავთ—ქარისგან დაცული ვაკე ან ოდნავ დაქანებული ადგილები შეარჩიეთ, მცენარეთა შორის სასურველია 3X5 მეტრი.

* * *

კივი ორბინიანი მცენარეა, ამიტომ ყოველ 6-7 მდედრობით ფორმაზე ერთი მამრობითი უნდა დაირგოს.

ციტრუსებიდან ლიმონი ყველაზე ნაკლებ ყინვაგამძლეა, ამიტომ მის გამოსაზამთრებლად სასურველია მიწის შემოყრა 15-20 სანტიმენტრის სიმაღლეზე; ინდივიდუალური და ჯგუფური შეფუთვა და სხვა.

მთელ მსოფლიოში არსებულ ცნობილ სასმელებს შორის ჩაის წამყვანი ადგილი უჭირავს, ამჟამად საქართველოში ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის ფართომასშტაბიანი სამუშაოები ტარდება... არსებობს რამდენიმე მცირემასშტაბიანი ქარხანა. მსგავსი მინი-ქარხნების გახსნა მომავალშიც იგეგმება.

ჩაის ფოთლის კრეფის დროს ბუჩქს ყველაზე ახალგაზრდა ყლორტების 2-3 ფოთლიან ზედა ნაწილებს აშორებენ. კრეფის შემდეგ ფოთლების გარკვეული რაოდენობა ბუჩქზე რჩება, ფოთოლი ხელით მცირე მექანიზმისაა და მობილური მანქანების საშუალებით იკრიფება. მოკრეფიდან არა უგვიანეს ორი საათისა ჩაი გადამამუშავებელ ფაბრიკას უნდა ჩაბარდეს.

კაკალი—ბევრ ნაყოფს არ ისხამს იქ, სადაც ტემპერატურა ზამთარში 18^{0}-ია. კარგად ხარობს გრილ, ტენიან და ორგანული ნივთიერებებით მდიდარ ნიადაგზე.

თესლით გამრავლებული კაკალი ნაყოფიერია 10-12 წლიწადში. ვეგეტაციურად გამრავლებული კაკალი ნაყოფს 4-5 წლის შემდეგ ისხამს.

თხილი—თხილის ნერგი 1-2 წლიანი უნდა იყოს სწორი ზრდის, ძლიერი და კარგად დატოტვილი ფესვით. 120-150 სმ სიმაღლით. ფესვს დაზიანებული და წაგრძელებული ნაწილი უნდა წააჭრათ. თუ ფესვს წუნწუხში ამოვავლებთ უკეთესია; ორმოში 1 ან 2 და 3 ნერგი შეგიძლიათ დარგოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ნერგებს შორის მანძილი არ უნდა იყოს 10-15 სანტიმეტრზე ნაკლები. ნერგის გარშემო ნიადაგი მოტკეპნეთ და მორწყეთ. ნერგი უნდა გასხლათ 50 სმ სიმაღლეზე ფესვის ყელიდან 5-6 კვირტის დატოვებით.

პამიდვრის ჩითილი გადარგვისას 40-45 დღის უნდა იყოს. ჰქონდეს 6-7 ფოთოლი. სიმაღლე 20-25 სმ-ის. ამოღებამდე 2 დღით ადრე ჩითილი უნდა შეიწამლოს ფუნგიციდებით.

კარტოფილს გაზაფხულზე თესავენ. +5-6 გრადუს ტემპერატურაზე—5-7 სანტიმეტრის სიღრმის ორმოებში.

საადრეო კარტოფილი დაბალ ზონაში თებერვლის ბოლოდან მარტის შუა რიცხვებამდე უნდა დაითესოს.

კიტრი—კიტრის მავნებლების (ბაღჩის ბუგრი, თრიფსები, ფრთათეთრა) წინააღმდეგ ვეგეტაციის დროს მწერების გამოჩენისთანავე, აუცილებელია ერთკვირიანი ინტერვალით სხვადასხვა ინსექტიციდებით 2-3 წამლობის ჩატარება. მოსავლის აღებამდე 2-3 კვირით ადრე წამლები უნდა შეწყდეს.

ბადრიჯანი—მისი დათესვა სასურველია პამიდვრის შემდეგ, მაგრამ მის ნიადაგს მეტი ორგანული სასუქი სჭირდება. სასუქებით გამოკვება ხდება ჩითილის გადარგვიდან 10 დღეში. ბადრიჯანი არ საჭიროებს გასხვლას და აკვრას.

მორწყვა კი პამიდორზე მეტად სჭირდება.

ახლა იმაზე, თუ რომელი მცენარე რომელს უკეთ ეგუება?

ყველა მცენარე თავის გარშემო ქმნის ქიმიურ გარემოს, რომელიც დადებითად ან უარყოფითად მოქმედებს მეორე მცენარეზე.

მაგალითად: ლობიო თავის სიახლოვეს ეგუება: კომბოსტოს, სტაფილოს, ჭარხალს, კიტრს, კარტოფილს, სიმინდს, პომიდორს, ხენდროს, ბადრიჯანს, გოგრას, საზამთროს, ნესვს, მაგრამ „ვერ იტანს“ ხახვსა და ნიორს, სიმინდი „მეგობრობს“: ლობიოსთან, ბარდასთან, ყაბაყთან, კიტრთან, გოგრასა და კარტოფილთან.

კომბოსტო ეგუება ხახვს, პრასს, კარტოფილს, მაგრამ არ მოსწონს ხენდროსთან, პამიდორთან, სარის ლობიოსთან ახლობლობა, კიტრი კარგად გრძნობს თავს ლობიოს, ბოლოკის, პამიდვრის, კომბოსტოს, კამისა და ვარდის გვერდით.

როგორ მოვიყვანოთ სტაფილო?

ეს არ არის რთული საქმე: მისი ზრდისთვის ოპტიმალური ტემპერატურაა +18-26^{0}. ტენის მიმართ ოპტიმალურად ზომიერად მომთხოვნია. სჭირდება ღრმად დამუშავებული, სარეველა ბალახებისაგან გაწმენდილი, ფხვიერი ნიადაგი.

გაინტერესებთ როგორ იძლევა ნიორი მეტ მოსავალს?

ნიორი მაშინ უნდა აიღოთ, როცა ბოლქვის ყელი დარბილდება და ფოჩში ჩაწვება. მოსავალი ფოჩის შეხმობისთანავე მშრალ ამინდში ხელით უნდა აიღოთ. შემოდგომამდე დარგული ნიორი მეტ მოსავალს იძლევა, ვიდრე გაზაფხულზე დარგული.

როგორ დავთესოთ ოხრახუში?

ოხრახუშის თესლი შემოდგომიდან დაწყებულ მარტის ბოლომდე სწორ ზედაპირზე ან კვლებში ითესება. ნიადაგი 25 სმ-ზე უნდა დამუშავდეს. საქონლის გადამწვარი ნაკელი აუცილებლობას წარმოადგენს. შეიძლება მინერალური სასუქების გამოყენებაც.

ნიადაგი ქინძისთვის ისეთნაირად მზადდება, როგორც ოხრახუშისათვის. წლის განმავლობაში რამდენჯერმე ითესება—გაზაფხულზე და შემოდგომაზე.

და ბოლოს ბროწეულზეც გიამბობთ

ყველას გვსმენია, რომ ეს ერთ-ერთი სასარგებლო მცენარეა. მას ვრგავთ არა მხოლოდ იმისათვის, რომ ღობის ფუნქცია შეასრულოს ან ხასხასა წითელი ყვავილებით გვასიამოვნოს, არამედ ბევრი სხვა სიკეთისთვისაც...

მედიკოსები გვეუბნებიან, რომ ამ საოცარი მცენარის შემადგენლობაში უამრავი სახის ვიტამინი შედის.

სამკურნალო თვისებებით ბროწეულის კანიც გამოირჩევა. მას ჯერ კიდევ ჰიპოკრატე იყენებდა კუჭ-ნაწლავის დაავადებებისა და ჭრილობების სამკურნალოდ. ამ მხრივ განსაკუთრებით ბროწეულის კანი გამოირჩევა. ის ამაღლებს იმუნიტეტს, კურნავს კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, გიხსნით გულის დაავადებებისგანაც. არის ძლიერი ანტიოქსიდანტი; თავიდან აგაცილებთ ავთვისებიან დაავადებებს, გიხსნით ოსტეოპოროზისაგან, მართავს გლუკოზის დონეს, ხელს უშლის ანემიის განვითარებას, გიხსნით გაციებისა და გრიპისაგან, აჯანსაღებს კბილებს და ღრძილებს.

10-12 გრ. გამთბარი ბროწეულის კანს დაასხით 250 გრ. ადუღებული წყალი. გააჩერეთ 25 წუთი და დალიეთ ჯერ ნახევარი, ხოლო სამი საათის შემდეგ მეორე ნახევარი.

სახსრების ტკივილი გაწუხებთ?

2 ჩ.კ. დაქუცმაცებულ ბროწეულის ქერქს დაასხით 2 ჩ.ჭ. მდუღარე წყალი. ნახევარი საათის განმავლობაში ადუღეთ წყლის ორთქლზე, შემდეგ გაფილტრეთ, მდუღარე წყლით შეავსეთ 1 ჭიქამდე და მიიღეთ მეოთხედი ჭიქა დღეში 2-3-ჯერ ჭამამდე.

ბროწეულის საწებელი

გამოვწუროთ გარკვეული როდენობის ბროწეული, ვადუღოთ ერთ საათს, გავაციოთ, შევაზაოთ მარილით, წიწაკით და დანაყილი ნივრით.

ბროწეულის საწებელი იმერულად

1 ჩაის ჭიქა ბროწეულის წვენს დავუმატოთ ¼ ჩ.ჭ. დანაყილი ნიგოზი. 1 ჩ.ჭ. ქინძის თესლი და მარილი.

მასალა მოამზადა
ნუგზარ იშხნელმა

აგროდიზელით მხარდაჭერის პროგრამა გრძელდება...

სოფლის მეურნეობის მიმართულებით, ანტიკრიზისული გეგმის—„ზრუნვა სოფელზე და ფერმერზე“ ფარგლებში, 2020 წელს წარმატებით განხორციელდა აგროდიზელის პროგრამა. ფასდაკლებით ისარგებლა 125 ათასმა ფერმერმა და მათ 7 მილიონ ლარზე მეტი შეღავათი მიიღეს.

2021 წლის 1 თებერვლიდან ეს პროგრამა კვლავ ამოქმედდა და ფერმერები დიზელის საწვავს მნიშვნელოვნად დაბალ ფასად მიიღებენ.

პროგრამაში რეგისტრაცია დაიწყო პირველ თებერვალს, ხოლო ფასდაკლების ბარათების გააქტიურება 7 თებერვლიდან ეტაპობრივად.

ფერმერებს ფასდაკლებით სარგებლობა უკვე ელექტრონულადაც შეუძლიათ და ბენზინგასამართ სადგურებზე დაბეჭდილი დოკუმენტის წარდგენა აღარ მოუწევთ.

საწვავზე ფასდაკლების დასტური გაიცემა დისტანციურად, ვებგვერდის https: my.mepa.gov.ge საშუალებით. ფერმერებს ასევე შეეძლებათ ბარათები სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონულ სამსახურებშიც მიიღონ.

„ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი“...

...ყოველი დღე გვაახლოებს მიწიერ აღსასრულს. სიკვდილის გარდუვალობა ბრწყინვალედ არის გადმოცემული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, ამ პატარა წერილის სათაურად რომ გამოვიყენე, „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“-ო გვირგვინია ამ ჭეშმარიტების. რადგან ასეა, და ასე რომ არის, ჩვენს თვალწინ ხდება, მაშინ კეთილმოწყობილ დროებით საცხოვრისზე ზრუნვა, ათასგზის რატომ აღემატება სამუდამო განსასვენებელი ადგილის მოწყობაზე ზრუნვას. ამას რომ ვამბობ, მხედველობაში არ მაქვს, რომ გარდაცვლილს დავუდგათ მარმარილო, ძეგლი და ქანდაკება, სამწუხაროდ, ჩვენი სასაფლაოების როგორც შიგა, ისე გარე ტერიტორია ნაგვის კერად არის გადაქცეული...

***

მუნიციპალიტეტის თითოეულ სოფელში 4-5 სასაფლაო ხომ იქნება. დავათვალიეროთ და ვნახოთ, როგორ არის ისინი მოვლილი, განსაკუთრებით ცარიელი, საფლავებს შორის დარჩენილი ადგილებია მოუვლელი, „მოუვლელი“ ძალიან რბილი ნათქვამია, ეს ადგილები ნაგვის კერად არის გადაქცეული, ზოგიერთი საფლავი ისე დიდ ტერიტორიაზეა „გაშლილი“, საფლავის მეპატრონე-ჭირისუფლის თაობები დაეტევა, არ უვლიან და გადავლილია ეკალ-ბარდებით. ბევრგან სანაგვე ორმოები არ არის, მაგრამ იქნებ აღარც არის საჭირო, რადგან ახლა ყველა სოფელში სანაგვე ყუთები დგას და თუ ერთხელ და დროდადრო გავწმენდთ, თანდათან ყოველდღიურ დაგროვილ ნაგავს ადვილად გაიტანს ნაგვის მანქანები, მაგრამ ამ ყუთებამდე მიტანაც რომ არავის უნდა!

***

მახსოვს, სოფელში შექმნილი იყო „საეკლესიო საბჭოები“, რომლებშიც შედიოდნენ სოფლის უხუცესი და პატივსაცემი ადამიანები, ისინი იცავდნენ წესრიგს, აწყობდნენ შაბათობებს, კონტროლქვეშ იყო ვინ სად დასაფლავდებოდა, თურქულ კინოებში გვინახავს—ისე აქვთ მოვლილი სასაფლაოები-სიკვდილზე ფიქრი გიადვილდება, საპირისპიროდ: ცნობილი მწერალი რეზო მიშველაძე ერთ მკვდრეთით აღდგომილს, ეკალ-ბარდებით გადავლილ თავისსავე საფლავის ქვაზე „წამომჯდარს“, ისევ სიკვდილს ანატრებინებს და ათქმევინებს—ამის ღირსი ვიყავი მეე...

***

სოფლებში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლობას საკუთარი კომპეტენცია არ აქვს, ისე, როგორც ათეულობით წლის წინ, სოფლის მიერ არჩეულ დეპუტატებს ჰქონდათ ადგილობრივ გამგეობაში. მათ მანდატებით სხვა საკითხებთან ერთად სასაფლაოების მოვლა-პატრონობაც ევალებოდათ, რისთვისაც იყენებდნენ მიწის გადასახადიდან ამოღებული, ხელფასებს გადარჩენილი თანხის გარკვეულ ნაწილს, თანხის განკარგვა თავად შეეძლოთ და მდგომარეობაც უკეთესი იყო.

***

მაქვს მიზეზი და სასაფლაოზე ხშირად დავდივარ, ერთი კილომეტრის სავალ გზაზე შეხვდებით: სხვადასხვა ზომის პლასტმასის ბოთლებს, სიგარეტის კოლოფებს, ცელოფნის პარკებს, ახლა უკვე ნიღბებს... როგორც ერთ შოუშია—სირცხვილია, სირცხვილი... ვინ უნდა გაასუფთაოს შენგან დანაგვიანებული ქუჩა-ორმოები, სახლში, ეზოში დაყრილი?! ყველას, ვინც ქუჩას ანაგვიანებს, თავისას ასუფთავებს და „მონაცოცხს“ უადგილოდ ყრის, შევკადრებ—ხელპირის გარდა, სხვა რამესაც უნდა დაბანა.

***

ჩვენს გაზეთში სხვა დროსაც დაბეჭდილა წერილი სასაფლაოების მოვლა-პატრონობაზე. კანონში, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების ერთი მუხლი სასაფლაოების მოვლა-პატრონობას ითვალისწინებს. გარკვეული თანხები დაიხარჯა სხვადასხვა წლებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხებიდან, მაგრამ თითქმის არაფერი შეცვლილა, ერთ სოფელში ერთი შტატის დაშვება, მთელი სოფლის გულის მოგება იქნება, ამ შტატზე დასაქმებული ითავებს შაბათობების მოწყობას, გარე ტერიტორიის დასუფთავებას, იზრუნებს მოსახლეობისაგან დამატებითი თანხების მოზიდვას, რაც სასაფლაოს მოწყობას მოხმარდება, მრევლსაც მეტი მოეთხოვება, ეკლესიის კეთილმოწყობაზე ზრუნვა არის ეკლესიის მესვეურთა საქმეც.

ჟუჟუნა ცხადაძე

ნუნუ აბულაძე: „მოსწავლეებმა მაქციეს მოძღვრად და უკვდავებასაც მათგან მოველი“...

თერჯოლის საზოგადოებას, განათლების მუშაკთა რიგებს, მრავალრიცხოვან ყოფილ აღსაზრდელებს, ოჯახს, უამრავ ნაცნობს, მეგობარსა და სანათესაოს 88 წლის ასაკში გამოაკლდა ღვაწლმოსილი პედაგოგი, მოსწავლე-ახალგაზრდობის თაობათა აღმზრდელი, მრავალი ჯილდოს მფლობელი, თერჯოლის საპატიო მოქალაქე ნუნუ აბულაძე.

იგი დაიბადა 1932 წლის 10 აგვისტოს, მაშინდელი ჩხარის რაიონში, მოსამსახურის ოჯახში. 1951 წელს დაამთავრა ჩხარის საშუალო სკოლა, 1957 წელს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართული ენის, ლოგიკისა და ფსიქოლოგიის სპეციალობით და იმავე წელს დაინიშნა თერჯოლის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1964 წელს ნუნუ აბულაძემ თავისი მომავალი ცხოვრება დაუკავშირა ანტონ ჩაფიჩაძეს და მასთან ერთად ეწეოდა ცხოვრების უღელს 51 წლის განმავლობაში. 2015 წელს, 80 წლის ასაკში დაკარგა ცხოვრების ღირსეული თანამგზავრი როგორც ამბობდა... მანამდე კი მათ ერთად ორი ვაჟი აღზარდეს, რომლებსაც უმაღლესი განათლება მიაღებინეს, შემდეგ ისინი დაოჯახდნენ და ახლა მათი სამი ვაჟკაცი, წარჩინებული სტუდენტები და მოსწავლე, ოჯახისა და ქვეყნის მომავლის სიძლიერედ ყალიბდებიან...

ქალბატონი ნუნუ 52-წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის შემდეგ, 75 წლის ასაკში პენსიაზე გავიდა, თუმცა მას სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობა.

ნუნუ აბულაძე იმ თაობის წარმომადგენელია, რომელიც ქვეყნის სამსახურსა და ერის საუკეთესო ტრადიციების გაგრძელებას თვლიდა თავის უმთავრეს საქმედ, უფრო მეტიც, მისი მოტივაცია იყო არა მხოლოდ გაეგრძელებინა ის, რაც წინამორბედმა თაობამ დაამკვიდრა განათლების სფეროში, არამედ თავისი წვლილიც შეეტანა მის განვითარებაში. ამ სურვილით ეწაფებოდა ცოდნას უმაღლეს სასწავლებელში, შემდეგ კი ამ სურვილით შეაღო სკოლის კარები, სადაც სრულიად ახალგაზრდა, მომხიბვლელ მასწავლებელს თვალებში შესცინცინებდნენ აღსაზრდელები...

მისი ცხოვრების წესი მუდამ იყო ერის სულიერი მამის ილია ჭავჭავაძის მოძღვრება: „უსულგულო ცხოვრება ცის ნიჭი ნუ გგონია, იგი მიწის ყოფილა და ბოლო აქვს, ხოლო ცხოვრებას აცისკროვნებს საქმითმეტყველი, როგორც შთამბერველი ძალა, მას ბოლო არ აქვს. ნეტავი იმ ადამიანს, ვინაც თავისი ცხოვრება კეთილი საქმეების კეთებაში გაატარა, რითაც ის სიცოცხლეშივე ეწაფება უკვდავების წყაროს“...

„მე ბევრი ვერაფერი გავაკეთე—წერს ქალბატონი ნუნუ რედაქციაში გამოგზავნილ ერთ წერილში, მაგრამ ჩემს იდიალს მივაღწიე, რომ აღმეზარდა წიგნიერი და შრომისმოყვარე ახალგაზრდობა. მოსწავლეებმა მაქციეს მოძღვრად და უკვდავებასაც მათგან მოველი“...

დიახ, ნუნუ მასწავლებელმა, ნახევარსაუკუნოვანი პედაგოგიური მოღვაწეობით, რასაც დიდი რუდუნებითა და პასუხისმგებლობით ეწეოდა, შეძლო თაობებისათვის აეხსნა და საგზლად გადაეცა „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“, მისი ისტორია, კულტურა, ტრადიციები ანუ თითოეულ მათგანში აღეზარდა სწორედ ის „გასაკვირველი“ გრძნობა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და მისთვის თავდადება რომ ჰქვია...

მისი თითოეული გაკვეთილი იყო შემოქმედება, დვრიტა და ყველაფერი ერთად, რაც ამაღლებული, მოწინავე და თუნდაც ნოვატორულია მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის ურთულეს გზაზე... ამ მიზნით შეაგროვა და აკინძა ქართველ კლასიკოსთა ალბომები, რომლის გამოყენება შეეძლო როგორც მის მოსწავლეებს, ასევე სხვა მწერლობით დაინტერესებულ პირებს.

ნუნუ აბულაძეს ახალგაზრდობისას, მასწავლებლობის პარალელურად, მაშინდელ გაზეთ „წინსვლაში“ დროებით ადგილზე ლიტერატურული მუშაკის შტატი შეუთავსებია. იქედან მოყოლებული რაიონული გაზეთის სიყვარული სიცოცხლის ბოლომდე ჰქონდა. მას არც ერთი ნომერი, არც ერთი სტატია წაუკითხავი არ დარჩენია. უფრო მეტიც, ყოველი ნომრის გამოსვლის შემდეგ თითქმის სისტემატურად გვირეკავდა, შეგვაქებდა, თუ საჭიროდ მიაჩნდა მიგვითითებდა, გვირჩევდა. ხშირად კი თავის გონივრულ მოსაზრებას, გამოხმაურებას ამა თუ იმ პრობლემურ თემებზე გვიგზავნიდა. შეიძლება ითქვას იყო აქტიური მკითხველიც და კორესპონდენტიც.

სკოლა, მოსწავლეები, სწავლა-აღზრდის პრობლემები, ქართული ენის დაცვის და მოვლა-პატრონობის საკითხები პენსიონერი ქალბატონისათვის მარადიული საფიქრალ-სამსჯელო იყო, ისე როგორც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოვლენები, პრობლემები, პროცესები, რომლებიც გინდა არ გინდა თანაზიარს გხდიან და მათ ვერსად გაექცევი...

„ფიქრები წუთისოფელზე“—ამ სათაურით „თერჯოლის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიაში მოკრძალებულად, თუმცა გულისტკივილით აღნიშნავდა ქართული ყოფა-ცხოვრებისათვის მიუღებელ, რიგ შემთხვევაში ქართული ტრადიციების შეურაცხმყოფელ მანკიერებაზე. არ შეეძლო გულგრილი ყოფილიყო, როცა საქმე ქართული ენისა და ლიტერატურის შელახვას, უზნეობას და საზოგადოებისათვის მიუღებელ ფაქტებს ეხებოდა.

საქართველო და მისი მომავალი იყო ნუნუ მასწავლებლის სალოცავი ხატი—ერთიანი და განუყოფელი საქართველო. ამ ხატზე ფიქრით სანთელივით იწვოდა, ღელავდა, ფორიაქობდა... ოცნებობდა ქვეყნის უკეთეს მომავალზე. მისი სურვილი იყო, რომ უფრო თავდადებით ეზრუნათ ადამიანებს სათაყვანებელი სამშობლოსათვის...

ხშირად იმეორებდა პოეტის სიტყვებს:

„სულ ბეწვის ხიდზე როდემდე ივლი,

ყოფნა არ ყოფნის ჯვარზე გაკრული?!“

დასანანია, რომ ამიერიდან მხოლოდ მოგონებები, ამასთან უსაზღვრო სითბო და სიყვარული დაგვიტოვა...

დაგვიტოვა თვალსაჩინო მაგალითი თუ როგორ უნდა იღვაწო, როგორ უნდა დაიხარჯო ბოლომდე, გქონდეს სულის სიმტკიცე და მამაცობა იმისა, რომ თუნდაც ღონემიხდილმა არასოდეს დაკარგო იმედი უკეთესი ხვალინდელი დღისა... საქართველოს გაბრწყინებისა...

უკეთილშობილესი ქალბატონის ბოლო ჟესტი იყო ალბათ, როცა დამდეგი 2021 წელი მოგვილოცა ყოფილ მოსწავლეებს, მეგობრებს და შეგვახსენა, რომ ერთმანეთის მიმართ ყურადღება, სითბო და სიყვარული უმთავრესია, თუნდაც მაშინ, როცა სიკვდილის აჩრდილი გვიახლოვდება...

გზა მშვიდობისა ნუნუ მასწავლებელო... ყოფილი მოსწავლეები, მეგობრები, განათლების რესურსცენტრისა და №1 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივები, რომლებთან ერთადაც ცხოვრების დიდი გზა გაიარეთ, „თერჯოლის“ კოლექტივი, არა თუ გაგიხსენებენ, არასოდეს დაგივიწყებენ...

ჩვენ ვალში ვართ თქვენთან...

გაზეთი „თერჯოლა“

სოფელ ზედა სიმონეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლობა, მწუხარებაში თანაუგრძნობს თანამშრომელს, დავით თორთლაძეს მამის

გენო თორთლაძის

გარდაცვალების გამო.

ნუგზარ გამყრელიძე ოჯახით იუწყება, ღვაწლმოსილი პედაგოგის

ნუნუ აბულაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თერჯოლის მე-3 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ იზო ცქიფურიშვილსა და დემურ ზარნაძეს ძმისა და ცოლისძმის

დათო ცქიფურიშვილის

გარდაცვალების გამო.

ზედა სიმონეთის დავით კლდიაშვილის სახელობის საჯარო სკოლის პედაგოგები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღვაწლმოსილი პედაგოგის, ყოფილი კოლეგის

თინა (ცისანა) მეფარიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

ჭადრაკი — ბრძნული თამაში...

17 იანვარს, ლეგენდალურ ქართველ მოჭადრაკეს, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს ჭადრაკში, მაია ჩიბურდანიძეს 60 წელი შეუსრულდა. პირველად მაია მსოფლიო ჩემპიონი 17 წლის ასაკში გახდა, მაშინ მან ჩემპიონობისათვის ბრძოლაში ჩვენი ლეგენდარული მოჭადრაკე, მოქმედი ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი დაამარცხა.

ჯანმრთელობა, ბედნიერება და წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს ლეგენდარულ მოჭადრაკეებს და მასთან ერთად ყველას, ვინც სპორტის ამ სახეობაში მტკიცედ დაუმკვიდრა მოწინავე პოზიციები ჩვენს ქვეყანას.

ჩვენი ეს პუბლიკაცია სწორედ ამ ბრძნულ თამაშს ეძღვნება.

ეს ბრძნული თამაში ზოგს სპორტის სახეობად მიაჩნია, ზოგსაც-ხელოვნებად, თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს სახელდებას. მოკლედ ვთქვათ: ჭადრაკი არის ბრძნული თამაში, რომელსაც ერთხელვე თუ ეზიარე, მერე ვეღარ მოშორდები!

შორიდან მოდის. ათასხუთას წელს ითვლის, ეს, რაც ჩვენ ვიცით, ისე, კი, ღმერთმა უწყის სად დაირწა მისი აკვანი. ინდოელები მიიჩნევენ, რომ სწორედ მათმა წინაპრებმა გამოიგონეს მოწყენილობისაგან „თავგასართველად“. იქით ტიბეტელებს აქვთ თავიანთი ვარაუდები, ბრიტანელებს ფეხბურთთან ერთად ჭადრაკიც თავიანთ პირმშოდ მიაჩნიათ—ინდოელებს ჭადრაკი

ჩვენ ჩავუტანეთო, ცივად აცხადებენ არისტოკრატები. რაღა შორს წავიდეთ და აქა-იქ ჩვენი ენაკვიმატი გურულებიც იფიცებიან „მაგნები სა იყვნენ მაშინ, ნიკოლოზის დროს მთელ დუნიას გასაგონათ რო ვიძახდით „ჩვენი საქმე ჭადრაკულად არისო?!“... ეს ხუმრობით რა თქმა უნდა. სერიოზულად კი მიგვაჩნია, რომ ჭადრაკმა უძველესი დროიდან გამოიკვლია გზა ჩვენს ერამდე, რათა სიამოვნება მოგვანიჭოს, ბრძოლის ჟინი შეგვმატოს, დამარცხებასთან გამკლავება გვასწავლოს და გამარჯვებისას „გადარევისგან“ დაგვიფაროს...

ყველაზე ზუსტად, მაინც დიდმა ვაიმარელმა ბრძენმა გოეთემ დაასურათხატა: „ჭადრაკი გონების სასინჯი ქვააო“. ამით პასუხი გაეცა უამრავ კითხვას და დაკონკრეტდა, რომ ჭადრაკი ხელოვნებაცაა, სპორტიც, მეცნიერებაც და კიდევ ბევრი სხვა რამეც, რითაც ადამიანებს აბედნიერებს და ცხოვრებას ულამაზებს, ამიტომ არის საჭირო ჭადრაკის თამაში, ამიტომ უნდა დავუთმოთ მას დრო. ამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ხომ სიამოვნებას გვანიჭებს. ის მარტო თამაში ან სპორტი როდია, ხელოვნებაც არის, მეცნიერებაც (თავისებურად, რა თქმა უნდა). რაღაცით პოეზიაც არის. ვინც ჭადრაკს არ თამაშობს, ღარიბია მისი თვალსაწიერი. ამ ყველაფრის თქმის უფლებას იძლევა ისტორიული პიროვნებების ცხოვრების ფრაგმენტები, აი, ზოგი მათი დანაბარები: „ჭადრაკის სამყარო ჯადოსნურია“ (მიხეილ ტალი), „ჭადრაკი ბრძოლაა“ (მიხეილ ბოტვინიკი); „კარგი მოჭადრაკე რომ გახდე—ჩვენი დიდი ილიასავით დინჯი და აუღელვებელი უნდა იყო“ (გალაკტიონ ტაბიძეს მიეწერება ეს სიტყვები).

ჭადრაკთან დაკავშირებით რამდენი რამ წაგვიკითხავს და გვსმენია. საბრძოლო ოპერაციებში შესვენებისას ნაპოლეონი თურმე ჭადრაკს თამაშობდა;

რუსეთის მეფე ივანე მრისხანე ჭადრაკის თამაშისას გარდაცვლილა;

პოეტი პაოლო იაშვილი წერდა: „არავის არ სძინავს ისე აბნეულად, როგორც ჭადრაკის და ლექსის ოსტატებს“...

ადამიანის საზრიანობა ყველაზე კარგად ჭადრაკში ვლინდება“;—ასაბუთებდა ისააკ ნიუტონი.

ჭადრაკის სადიდებელი უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ამ ბრძნულ თამაშს პატივს სცემდნენ: სერვანტესი, დიდრო, ჟან ჟაკ-რუსო, პუშკინი, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ილია ჭავჭავაძე, ივანე მაჩაბელი, სხვანი და სხვანი.

ხოზე რაულ კაპაბლანკა, სტეინიცი, მანუელ ლასკერი, პოლ მორფი, ჩიგორინი, ტალი, ფიშერი და მრავალი სხვა მიეკუთვნებიან იმ შემსრულებელთა რიცხვს, რომლებმაც შექმნეს და ჭადრაკის მოყვარულთ მიუძღვნეს დიდი საჭადრაკო რომანტიკა.

გვეამაყება, რომ ქართველი მოჭადრაკეები აღმართ-აღმართ თავაწეულნი მიაგორებენ თავიანთ საჯილდაო ქვას.

დიახ, გვყავს თვალსაჩინო ოსტატები, რომელთაც არაერთგზის გამოუჩენიათ თავი ფართომასშტაბიან პაექრობებში. ცალკე თემაა ჩვენი მოჭადრაკე ქალების სრული მონოპოლია საერთაშორისო ასპარეზზე: ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი, ნინო გურული... მათ და ახალგაზრდა თაობებმა მთელ მსოფლიოში გაუთქვეს სახელი ქართულ საჭადრაკო სკოლას.

საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულში თამაშობენ ჭადრაკს.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან თერჯოლის მოსწავლეთა სახლში ფუნქციონირება დაიწყო ჭადრაკის თამაშის შემსწავლელმა წრემ, რომელმაც შემდგომში რაიონის მოსწავლეთა სპორტსკოლის ბაზაზე განაგრძო საქმიანობა.

დასანანია, რომ არ არსებობს სტატისტიკა თუ რამდენმა ბავშვმა შეისწავლა აქ ამ ბრძნული თამაშის ანი და ბანი. გვაქვს მხოლოდ ზეპირი მონაცემები, რომ ბევრმა მათგანმა საკმაოდ ისახელა თავი იმერეთის რეგიონისა თუ საქართველოს მასშტაბით გამართულ შეჯიბრებებში.

გარკვეული წლების განმავლობაში ამ საქმეს წარმატებით უძღვებოდნენ პროფესიონალი პედაგოგები. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი მოჭადრაკისა და ეტიუდისტის, მრავალი შინა და საერთაშორისო კონკურსების პრიზიორისა და გამარჯვებულის ემზარ ჭუმბურიძის მუშაობა.

დღეს ეს საქმე აბარიათ ნიჭიერ მოჭადრაკეებს—ოსტატობის კანდიდატებს მერი ჩაფიჩაძეს და ბატონ ემზარის ვაჟიშვილს გია ჭუმბურიძეს.

გვჯერა, ტრადიცია გაგრძელდება. ნიჭიერი თაობა მოდის!

ახლა კი მცირე ჩანართი, რომელიც გაზეთ „წინსვლის“ სახელობის საჭადრაკო კლუბს „გამსვლელ პაიკს“ ეხება:



1986 წლის 20 სექტემბერს ჩვენი ქალაქის ცენტრში ეგ.წ. „კვების ბლოკის“ პირველ სართულზე კაფე-სასაუზმის ვრცელ დარბაზში გაიხსნა საჭადრაკო კლუბი „გამსვლელი პაიკი“.

საზეიმო ცერემონიალზე მოვიდნენ ამ ბრძნული თამაშის მოყვარულნი, ქალაქის ინტელიგენცია, მმართველი სტრუქტურების წარმომადგენლები, მოსწავლე-ახალგაზრდები.

ღონისძიებას მნიშვნელობას სძენდა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წარმომადგენლების, ჭადრაკში რესპუბლიკის მთავარი მწვრთნელის რევაზ თავარიანის, დიდოსტატ ნანა იოსელიანისა და სხვათა სტუმრობა. ისინი აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ნანახის გამო.

* * *

გავიხსენებ ნაწყვეტს ბატონ რ. თავარიანის გამოსვლიდან: „თერჯოლაში პირველად არ ვარ. ორჯერ „თეთრი ეტლის“ პრიზის გათამაშებაზე გახლდით, რომელიც თქვენს თეთრ ქალაქში, „საპოვნელაში“ მოეწყო, მაგრამ დღევანდელი, რიგით მესამე სტუმრობა განსაკუთრებით სასიამოვნო და გასახარია. ამას ვლაპარაკობ, როგორც პროფესიონალი მწვრთნელი და როგორც რიგითი მოქალაქე. ასეთი კლუბი იშვიათად მინახავს დიდ ქალაქებშიც კი. თქვენთან ნებისმიერ მსურველს შეუძლია შევიდეს, ჭადრაკი ითამაშოს, ცხელი ხაჭაპური დააგემოვნოს, ყავითა და ხილის წვენებით ისიამოვნოს... ერთი სიტყვით მოხიბლული ვარ კომფორტითა და საერთო გარემოთი. პროფესიით ექიმი ვარ, მაგრამ ჭადრაკის მაგია ასეთია, ერთი თუ დაგრია ხელი, მერე რას არ დაგავიწყებინებს. თუმცა, მოჭადრაკისა და ექიმის პროფესიას საერთო მაინც აქვთ—უძილო ღამეები!

თქვენ კლუბს ძალიან დიდი კეთილი საქმეების გაკეთება შეუძლია.

თქვენი სამორინე ყველასათვის ღიაა. მინდა მადლიერება გამოგიხატოთ ყველას, და რა თქმა უნდა, რაიონულ გაზეთს ამ დიდებული საქმისათვის. მჯერა ამ ყველაფერს თავის შედეგები მოჰყვება.

გავიხარეთ ყველამ, სტუმრებმაც, მასპინძლებმაც, უპირველესად ნორჩმა მოჭადრაკეებმა, რომლებმაც ათ საჭადრაკო მა-



გიდასთან ფიცხელი ბრძოლა გაუმართეს თავიანთ კერპს—დიდოსტატ ნანა იოსელიანს“...

მაშინ, აბა, ვინ იცოდა, რომ ეს დაუვიწყარი დღე მალევე მიეცემოდა დავიწყებას...

* * *

ქუჩის პირას ბოძზე მიმაგრებული ლამაზი ფირნიში „გამსვლელი პაიკი“ ვიღაცას ჩამოეხსნა... იქნებ ეს ქარის ნამოქმედარი იყო?..

არა, ვრცელი დარბაზიდან მაგიდებიც, ჭადრაკის დაფებიც, სხვა ინვენტარიც სადღაც ბნელ სარდაფში გაეტანათ...

რატომ?

ამ კითხვის დასმას აზრი არ ჰქონდა, არც არავის დაუსვამს...

ეს ახლა წარსულია.

ავად მოსაგონებელი „ვატერლოო!“..

აკროსტიქი

1. ი . . . . . ქართველი დიდოსტატი ქალი
2. თ . . . . . საქართველოს სპორტკომიტეტის ყოფილი მთავარი მწვრთნელი
3. ა . . . . . რუსი მოჭადრაკე
4. მ . . . . ამერიკელი მოჭადრაკე
5. ა . . . . . ქართველი მოჭადრაკე
6. შ . . . . . მდგომარეობა, როცა მეფეს აღარ შეუძლია თავის დაცვა
7. ე . . . . . ჭადრაკის თამაშის ბოლო სტადია
8. თ . . . . . ქალაქი, სადაც ფუნქციონირებდა საჭადრაკო კლუბი „გამსვლელი პაიკი“
9. ჭ . . . . . მწვრთნელი და საჭადრაკო კომპოზიტორი
10. ა . . . . . ქართველი მოჭადრაკე ქალი
11. დ . . . . . ჭადრაკის თამაშის დაწყება
12. რ . . . . . უცხოელი მოჭადრაკე
13. ა . . . . . ქართველი მოჭადრაკე
14. კ . . . . . მსოფლიო ექსჩემპიონი ჭადრაკში
15. ი . . . . . ქართველი პოეტი, ჭადრაკის მეხოტბე

ჭადრაკი და ტალ-კვესი

შორეულ ხანაში, როცა ასანთი არც გაეგონათ, ადამიანები ცეცხლს ეგ.წ. ტალის სხვა სხეულთან ხახუნის შედეგად აჩენდნენ. ამ რეალობასთან რა საერთო უნდა ჰქონდეს მიხეილ ტალს (ან, თუნდაც ლილიენ ტალს)—არავინ იცის, მაგრამ ის ფაქტი, რომ ჭადრაკის ჯადოქრად წოდებული მიხეილ ტალი უკან დასახევ ხიდ-ბოგირებს მუდამ დაუნდობლად წვავდა, საკმაოდ ეჭვებს ბადებს.

* * *

ის არ ყოფილა ნარკომომხმარებელი. გენიალურ მოჭადრაკეს გვარი ჰქონდა მხოლოდ—მორფი.

* * *

არა, ალექსანდრე კი არა—ქალი მოჭადრაკე ალექსანდრიაა, ნონას რომ ეცილებოდა მსოფლიო ტახტს არაერთგზის.

* * *

გაიხსენეთ სხვადასხვა ქვეყნის სამი სახელმოხვეჭილი მოჭადრაკე, რომლებსაც მონათესავე გვარები აკავშირებთ ერთმანეთთან.

პასუხს შემდეგ ნომერში იხილავთ.

გვერდის ავტორი ნუგზარ გამყრელიძე

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75

მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22 გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872